კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ნათია ჯაფარიძე

ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის ტენდენციები გლობალიზაციის პირობებში

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,

ასოც. პროფესორი მამუკა თორია

თბილისი 2019

ანოტაცია

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებულმა ფინანსურმა, სოციალურმა, პოლიტიკურმა მდგომარეობამ გამოიწვია მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილების მასშტაბების ზრდა.ადამიანური რესურსების მზარდმა საერთაშორისო მიგრაციამ მსოფლიოს თითოეულ ქვეყანაში, იქნება ეს მიმღები თუ გამშვები, წინა მხარეს წამოწია მიგრაციასთან დაკავშირებული მწვავე საკითხები.

სამაგისტრო ნაშრომის საკვლევი თემა დაკავშირებულია ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის ტენდენციებთან გლობალიზაციის პროცესში.

სამაგისტრო ნაშრომის პირველ თავში - ადამიანური რესურსების საერთაშრისო მიგრაციის პრობლემების კვლევის თეორიულ–მეთოდოლოგიური საფუძვლები, განხილულია ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაცია და მასზე მოქმედი ფაქტორები, გლობალიზაციის პირობებში ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის თანამედროვე გამოწვევები, ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის კვლევის მეთოდები.

მეორე თავში - ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის სოციალური და ეკონომიკური ასპექტები, წარმოდგენილია შრომითი რესურსების საერთაშორისო მიგრაციის თანამედროვე ტენდენცები და ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.

მესამე თავში - ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის გამოწვე-ვები საქართველოში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია, უშუალოდ საქართველოზე, ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის გავლენასა და გამოწვევებზე. გაანალიზებულია სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საჭირო მეთოდები.

დასკვნაში სრულად არის შეჯამებული გლობალიზაციის პირობებში მსოფლიოში ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის მეთეოდოლოგიები, ასპექტები და გამოწვევები.

Natia Jafaridze

Tendencies of Internnational Migration of Human Resources in Globalization period

Annotation

The existing financial, social, political situation in everycountry of the world, have forced local citizens to leave their national territories and migrate to the foreign countries. Increasing international migration of human resources has highlighted sharp issues connected to the migration in each country of the world, being it receiver or releaser of emigrants.

Master degree research topic is connected to the tendencies of international migration of human resources in globalization process.

Issues connected to the international migration of human resources like, labor migration and factors influencing it, as well as modern causes of human resource migration and methodological analysis are discussed in thefirst chapters of the work.

The following topics are presented in the second chapter: social and economical aspects of international migration of human resources;Its development modern tendencies and regulation ways.

In the third chapter main attention is directed to Georgia; the influence and results of international migration of human resources. Methods and their realization ways which are necessary to improve emigrants' social, economical, demographical conditions are analyzed.

Finally, methodologies, aspects and reasons of international migration of human resources in globalization conditions, in every country of the world are completely summarized in the conclusion. Also attention is paid to the essentiality of coordinated, agreed collaboration between countires, in order to get mutually profitable decisions.

შინაარსი

შესავალი ---------- გვ. 5

თავი 1. ადამიანური რესურსების საერთაშრისო მიგრაციის პრობლემების კვლევის თეორიულ–მეთოდოლოგიური საფუძვლები ---------- გვ.8

1.1 ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაცია და მასზე მოქმედი ფაქტორები ---------- გვ.8

1.2 გლობალიზაციის პირობებში ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის თანამედროვე გამოწვევები ---------- გვ.15

1.3 ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის კვლევის მეთოდები- გვ.25

თავი 2. ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის სოციალური და ეკონომიკური ასპექტები ---------- გვ. 30

2.1 ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის თანამედროვე ტენდენციები ---------- გვ. 30

2.2 ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები ---------- გვ.35

თავი 3. ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის გამოწვევები საქართველოში ---------- გვ.40

დასკვნა ---------- გვ.57

გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხა ---------- გვ.61

შესავალი

თემის აქტუალობა. თანამედროვე პერიოდში ადამიანური რესურსესების საერთაშორისო მიგრაცია განსაკუთრებულ მასშტაბებს იძენს. მსოფლიოში ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა, როგორიცაა ეთნიკური და ეროვნულ ნიადაგზე წარმოშობილი შეიარაღებული კონფლიქტები, უდიდესი გავლენა მოახდინეს მოსახლეობის ტერიტორიულ გადადგილებაზე.

აღნიშნულმა პროცესებმა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინეს ბოლო წლებში აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, რომლებსაც დიდი მასშტაბით მოაწყდა მიგრანტთა ნაკადები აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან.

გარდა ამისა, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესი თავისთავად გულისხმობს ადამიანური რესურსების თავისუფალი გადაადგილების შესაძლებ-ლობებს სხვადასხვა ქვეყნებსა და ბაზრებს შორის, რომლის მასშტაბები თანამედროვე მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების განვითარების პარალე-ლურად იზრდება.

მიუხდავად ამისა, მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, მათ შორის ისეთი წამყვანი სახელმწიფო, როგორიცაა აშშ-ი ბოლო წლებია ახორციელებს აქტიურ პოლიტიკას მიგრანტთა თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვის მიმართულებით, რის დასტურადაც შეიძლება მოვიყვანოთ მექსიკის საზღვართან დამცავი კედლის მშენებლობა. ცენტრალური ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მმართველი წრეების მიერ მიგრანტთა თავისუფალი გადაადგილების შემზღუდავი პოლიტიკის გატარება და ა.შ.

ცხადია, ყოველივე ეს მეტად დიდ აქტუალურობასა და მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის პრობლემების კვლევას, რომე-ლიც თანამედროვე პერიოდში გლობალური ხასიათის პრობლემა ხდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის აქტუალობა ეჭვს არ იწვევს.

კვლევის მიზნები. წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს გლობალიზაციის პერიოდში ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის ტენდენციების გამოვლენა.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ დასახული იქნა შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- თანამედროვე პერიოდში ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა;
- ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის კვლევის მეთოდების დაზუსტება;
- ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის თანამედროვე ტენდენციების გამოვლენა და დახასიათება;
- ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების გამოვლენა;
- ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის თანამედროვე გამოწვევების ანალიზი საქართველოში.

კვლევის საგანი და ობიექტი. წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოში ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაცია, ხოლო კვლევის ობიექტია საქართველოს მიგრანტი მოსახლეობა.

კვლევის პროცესში გამოყენებული მეთოდები. ჩემს მიერ შესრულებულ ნაშრომში გამოყენებულია საერთაშორისო მიგრაციის შესწავლის მეთოდოლოგიები, რომელიც დაფუძნებულია ისეთ მეთოდებზე როგორიცაა: სტატისტიკური, რაოდენობრივი, თვისებრივი და შერჩევითი, დედუქცია, ინდუქცია, შედარებითი ანალიზის მეთოდები.

აღნიშნული საკითხი ჩვენს მიერ გაშლილი სახით გადმოცემული გვაქვს სამაგისტრო ნაშრომის მესამე ქვეთავში.

პრობლემის კვლევის მდგომარეობა. ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრციის პრობლემების კვლევისას ჩვენ გამოვიყენეთ, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მკვლევარების შრომები. კერძოდ, რ. გაჩეჩილაძის, ა. გუგუშვილის, თ. ზუბიაშვილის, მ. ტუხაშვილის, მ. თორიას, ნ. ჭელიძის. მ. შელიას, გ. წულაძის, მ.

ჭიპაშვილისა და სხვათა შორმები. ასევე უცხოელ მკვლევართა შრომები: Blume K. Scholte J.A, Mansoor A. Quillin B, Ионцев В.А, Сови А, Скелдон Р.

კვლევის სიახლეები. წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ორიგინალურობა იმაში მდგომარეობს, რომ თანამედროვე გამოწვევების სპექტრშია განხილული და დადგენილი ცალკეული საკითხები, კერძოდ;

- დაზუსტებულია თანამედროვე პერიოდში ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციაზე მოქმედი ფაქტორები;
- გამოვლენილია გლობალიზაციის პირობებში ადამიანური რესურსების მიგრაციაზე მოქმედი ფაქტორები;
- დაზუსტებულია საქართველოში ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის თანამედროვე ტენდენციები.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსი. წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ორიგინალურობა იმაში მდგომარეობს, რომ:

- გაანალიზებული და გამოვლენილია ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის თანამედროვე ტენდენციები საქართველოში;

- დაზუსტებულია ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციაზე მოქმედი ფაქტორები;

- დაზუსტებულია და ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის თანამედროევე სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.

თავი 1. ადამიანური რესურსების საერთაშრისო მიგრაციის პრობლემების კვლევის თეორიულ–მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1 ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაცია და მასზე მოქმედი ფაქტორები

XXI-ე საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაცია. შესაბამისად მიგრაციის არსის სწორად დეფინაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების განსაზღვრისათვის. მიმდინარე ეკონომიკურმა და სოციალურმა ფაქტორებმა ადამიანური რესურსების მიგრაცია ყველაზე მწვავე, ურთულეს პრობლემად აქცია, რომელიც არ წარმოადგენს სიახლეს მსოფლიოს არც ერთი ქვეყნისთვის.

მიგრაცია არის მოვლენა, რომელიც ასახავს ქვეყნების განვითარების სხვადასხვა მხარესა და გააჩნია მრავალმხრივი შედეგი.

ტერმინ „მიგრაციას“ შესაძლებელია სხვადასხვა განმარტება ჰქონდეს. ჟ.ა ზაიონჩკოვსკაია მიიჩნევს, რომ ტერმინი „მიგრაციის“ მნიშვნელობა მოიცავს ადამიანთა დინამიურ ნაკადს, რომელიც განპირობებულია მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობით [Под ред: О. Д Воробьевой, Выпуск II, М. 2001, გვ. 4].

ადამიანები უხსოვარი დროიდან გადაადგილდებოდნენ სხვადასხვა ქვეყნებში, რაც კიდევ უფრო გაძლიერდა ეკონომიკური მდგომარეობის პირობების გაუარესების გამო. მე-20-ე საუკუნის მე-2 ნახევარში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შრომითი რესურსების საერთაშორისო მიგრაცია, სადაც მოიაზრება შრომის უნარიანი ადამიანების გადაადილება ქვეყნიდან ქვეყანაში ხანგრძლივი ვადით [Овчинников, Г.П. ,1998, გვ. 258].

ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაცია შეიძლება იყოს სხვადსხვა სახის: გრძელვადიანი, დროებითი, ეპიზოდური, შრომითი და სხვა.

გრძელვადიანი მიგრაცია შეიძლება დავახასიათოთ, როგორც საცხოვრებელი ტერიტორიის სამუდამოდ დატოვება, მაშინ როდესაც დროებითი გამოხატავს გადასახლებას სხვა ქვეყანაში გარკვეული პერიოდით.

შრომის საერთაშორისო მიგრაციის ცენტრის მიხედვით „შრომითი მიგრაცია ეს არის ხალხთა გადაადგილება სამამულო ქვეყნიდან სხვა ქვეყნაში დასაქმების მიზნით. მიგრაციის ცენტრი (IOM) განასხვავებს შრომით მიგრანტებს ეკონომიკური მიგრანტებისგან, რომელიც მოიცავს ბიზნეს-მოგზაურებს, ინვესტორ-იმიგრანტებს, სეზონურ მიგრანტებსა და დროებით-შრომით მიგრანტებს.

ეკონომიკური მიგრანტი ეს არის ადამიანთა ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულნი არიან ეკონომიკურად აქტიური პირები, ინვესტორები, ბიზნესმენები და ცდილობენ გაიუმჯობესონ ცხოვრების პირობები.

შრომისუნარიანი პირისთვის მიგრაციის დროს ძირითადად ცნობილია ხარჯები და მისაღები შემოსავალი, ამიტომ უფრო ხელმისაწვდომ საშუალებად ითვლება.

მიგრაცია არის თანამედროვე პერიოდის მრავალმხრივი პროცესი, რაც განპირობებულია ეკონომიკის ძირითადი ძვრებით და ხელს უწყობს შრომის ბაზრის ხარისხობრივ ფორმირებას.

ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაცია შეიძლება მოვიაზროთ შრომისუნარიანი ადამიანების გადაადგილება ქვეყნებს შორის, რაც დაკავში-რებულია საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან სხვადასხვა ფაქტორების გავ-ლენით.

მიგრაცია შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც სოციოლოგიური მოვლენა, რომელიც განპიროებებულია სხვადასხვა რეგიონის შრომისუნარიანი მოსახლეობის დონეებით, რომლებიც ტოვებენ ქვეყანას განუსაზღვრელი ვადით მაღალი შემოსავლების მოსაძიებლად. თუმცა კავშირი ნათესავებთან შენარჩუნებულია და ძირითადად განისაზღვრება მათი მატერიალურად დახმარებით.

ცნება „მიგრაცია“ თავის თავში მოიცავს დაბრუნების ალბათობას. ასეთი სახის მიგრაცია ყველაზე კარგ საშუალებას წარმოადგენს მათვისაც, ვინც ვერ აღმოაჩინა სამშობლოში მისთვის განკუთვნილი ადგილი და შემოსავალი.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში უფრო დიდია სამშობლოდან გადახვეწილი შრომისუნარიანი ადამიანების როლი, ვინაიდან მათთან ანგარიშსწორება ფინანსურად უფრო მომგებიანია. მიგრანტთა უმრავლესობა უცხო ქვეყანაში თანახმა არის იმუშაოს დაბალი ანაზღაურების სანაცვლოდ, რადგან მათ უკან დგას ოჯახი, რომელნიც დამოკიდებულნი არიან მათ შემოსავალზე.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის განმარტებით „შრომითი მიგრაცია"- ეს არის მოსახლეობის გადაადგილება საცხოვრებელი ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში დასაქმებისა და გარკვეული შემოსავლის მიღების მიზნით [Glossary on Migration.International Organization for Migration,2004,გვ. 62].

გლობალიზაციის პერიოდში სოციალურ-ეკონომიკური ეტაპების განვითარებაში მნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენს შრომითი მიგრანტები, ადამიანური რესურსების ექსპორტიორი ქვეყნები და ადამიანური რესურსების იმპორტიორი ქვეყნები.

არსებობენ შრომითი მიგრანტები, რომელნიც მუშაობენ დაქირავების გარეშე თვით დასაქმებით, რომლებიც შემოსავალს იღებენ დამოუკიდებლად ან ოჯახის წევრებთან ერთად. აგრეთვე, გამოყოფას იმსახურებს საზღვრისპირა მიგრანტები, იძულებითი მიგრაცია და არალეგალური მიგრაცია.

შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ კონვენციაში [1990 წ, მუხლი 2.1 - მუხლი 2(2) (დ)] მოყვანილია შემდეგი განმარტებები, როგორიცაა:

შრომითი მიგრანტი - ეს არის პირი, რომელიც იმუშავებს, მუშაობს და მუშაობდა ანაზღაურებად სამუშაოზე, სახელმწიფოში რომლის მოქალაქედ ის არ ითვლება.

საზღვრისპირა მიგრანტები - რომლებიც მუშაობენ იმ სახელმწიფოს სანაპირო ზოლზე განთავსებულ ობიექტზე, რომლის მოქალაქესაც არ წარმოადგენენ.

იძულებითი მიგრაცია - ეს არის ზოგადი ტერმინი, რომელიც გამოიყენება მიგრაციული ნაკადების დასახასიათებლად, რომელთა შემთხვევაშიც არსებობს იძულების ელემენტი, მათ შორის სიცოცხლის საფრთხე, რომელიც გამოწვეულია

ქიმიური, ბირთვული კატასტროფებითა და შიმშილობით [მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი,გვ: 36].

მ. თორიას მიხედვით „სამუშაო ძალის იმპორტიორი ქვეყანა არის ქვეყანა, რომელიც მუდმივად ღებულობს შრომით მიგრანტებს სხვადასხვა ქვეყნიდან, ხოლო ექსპორტიორი ქვეყანა- ეს არის ქვეყანა, საიდანაც შრომითი ასაკის პირები სისტემატურად გადიან ქვეყნიდან მაღალანაზღაურებადი სამუშაოებისთვის'' [მ.თორია,2008, გვ.154].

ამ მეთოდით ქვეყნების დაყოფა არის პირობითი, ვინაიდან ქვეყანა შეიძლება იყოს როგორც იმპორტიორი, ისე ექსპორტიორი.

ზოგადად, ადამიანური რესურსების იმპორტიორი უნდა იყოს ძლიერი, ეკონომიკურად მაღალგანვითარებადი ქვეყანა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ ქვყნიდან გადინება უფრო დაბალგანვითარებულ ქვეყნებში არ ხდება. არსებობს შიდა და გარე მიგრაცია. ამ უკანასკნელიდან გამოიყოფა ორი მნიშვნელოვანი სახე: ემიგრანტები და იმიგრანტები. ემიგრანტები, ანუ შრომისუნარიანი ინდივიდი, რომელიც მიემგზავრება სხვა ქვეყანაში დროებითი სამუშაოს მოსაძიებლად. ხოლო იმიგრანტი - რომელიც ეროვნულ ქვეყანაში მოდის უცხოეთიდან სამუშაოდ.

ფრანგი მკვლევარი ა. სოვის [Сови А. 1979 г,გვ.409] მიხედვით მიგრაცია განიხილება შემდეგი ეტაპების მიხედვით:

1. მიგრანტების მიმღები ქვეყნის ინტერესებიდან;
2. იმ ქვეყნის ინტერესებიდან, საიდანაც გადიან მიგრანტები;
3. მიგრანტების ინტერესების მიხედვით.

შრომისუნარიანი ადამიანის სხვა ქვეყანაში წასვლას შესაძლებელია განაპირობებდეს სხვადასხვა ფაქტორი. განსაკუთრებით ცხოვრების პირობების გაუმჯობესების სურვილი, სადაც წამყვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკური ფაქტორები და სწორედ ეს მიიჩნევა მიგრანტების ძირითად ინტერესად.

შრომითი რესურსების იმპორტიორი ქვეყნების ინტერესად შეიძლება მოიაზრებოდეს ყოველგვარი დანახარჯის გარეშე, იაფი ადამიანური რესურსების მიზიდვა, რომლის ხარჯზეც ხდება დიდი ეკონომიკის გაწევა. რაც შეეხება ექსპორტის ქვეყნებს აქ შედეგები სხვადასხვაა.

ზემოთქმულის შეჯამებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის გავლენა მაღალია ქვეყნის ეკონომიკურ ფაქტორებსა და მათ განვითარებაზე.

მაღალი დაინტერესების მქონე ქვეყნები ცდილობენ ისეთი კანონები მიიღონ, რომ შეამცირონ მიგრაციის დონე, რითაც შესაძლებლობა მიეცემათ თავიდან აიცილონ სხვადასხვა გართულებები, როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიკური თვალსაზრისით ქვეყნის შიგნით.

შესაძლებელია, მიგრაცია არის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გზა, მაგრამ არ არის გამორიცხული შექმნას პრობლემები როგორც პოლიტიკური, ისე რელიგიური და სხვა სახის. ადამიანური რესურსების მიგრაციის მნიშვნელობა უკეთ ჩანსმის ფუნქციებში, რომელიც იყოფა მასტიმულირებელ, სოციალურ-ფსიქოლოგიურ, სელექციურ და გადანაწილებით ფუნქციებად.

მასტიმულირებელი ფუნქცია ვლინდება ადამიანის მუდმივ სწრაფვაში სივრცობრივი გადაადგილების ხარჯზე მიაღწიოს მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ადამიანური რესურსების სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია განპიროებ-ბულია სხვადსხვა სახის საზოგადოებრივი მოვლენებით, რომლებიც წარმოიქ-ნებიან მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილებისას [თორია. მ. 2008,გვ.160-161].

ზემოთ აღნიშნული მიგრაციის ფუნქციები გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ ქვეყნის ისეთ რთულ პროცესებზე, როგორიცაა: დემოგრაფიულ-პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური.

ყოველივეს შეჯამებით შესაძლებელია გამოვავლინოთ ისეთი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მიგრაციული პროცესების ზრდასა და განვითა-რებაზე.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციას ხელს უწყობს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: 1. სამუშაო ადგილების ნაკლებობა; 2. შრომის ანაზღაურება სხვა ქყვეყნებთან შედარებით; 3. თანამედოვე კომპიუტერულ-ტექნოლოგიური უნარების შესწავლა

და განვითარება; 4. პოლიტიკური; 5. სოციალური; 6. რელიგიური; 7. ბუნებრივი ფაქტორები და კიდევ მრავალი სხვა.

ჩამოთვლილი ფაქტორები დიდ გავლენას ახდენენ ინდივიდის გადაადგილებასა და მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ზემოთ აღნიშნული ფაქტორები შეიძლება პირობითად დავყოთ შემდეგნაირად: 1. ფაქტორები, რომლებიც გააუმჯობესებენ ისეთ სამუშაო პირობებს, რომელიც ხელს შეუწყობსსაერთაშორისო გადაადგილებას ერთი ქვეყნიდან მეორეში, 2. ასევე შესაძლებელია შეიქმნას ისეთი ფაქტორები, რომლებიც გამოიყენება სამუშაო ძალის ნაკადთა გადაადგილების კონტროლისთვის 3. მაკროეკონომიკური ფაქტორები.

აღნიშნული ფაქტორები, დანაწევრებით შესაძლებებლია განვიხილოთ დეტალურად, კერძოდ, პირველ ტიპს შეიძლება მივაკუთვნოთ ადამიანური რესურსების მიგრაციის დემოგრაფიული და ბუნებრივი პირობები, რომელთა ზემოქმედება ნათლად არის წარმოჩენილი ქვეყნის გეოგრაფიულ და კლიმატურ მოვლენებში. კლიმატური და დემოგრაფიული ფაქტორები ხელს უწყობს მოსახლეობის დიდი ნაკადის წასვლას ქვეყნიდან. მეორეკატეგორიაში გამოიყოფა ისეთი ფაქტორები,რომელთა განსაზღვრა, გაანალიზება და შესწავლა წინასწარ არის შესაძლებელი. ესენია სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები. თითოეული ფაქტორი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ასევე ყურადღება შესაძლებელია გამახვილდეს ხანგრძლივვადიან და ოპერატიულ ფაქტორებზე. ხანგრძლივვადიან ფაქტორებში შეიძლება მოვიაზროთ განსხვავება ეკოლოგიურ მდგომარეობასა და სოციალურ ინფრასტრუქტურის განვითარების დონეებს შორის. ხოლო რაც შეეხება ოპერატიულ ფაქტორებს - განსხვავება შესამჩნევია შრომის პირობებს, ხელფასსა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების დონეებს შორის.

ჩამოთვლილი ფაქტორებიდან დიდი ყურადღება ექცევა საგარეო ანუ მაკროეკონომიკურ ფაქტორებსაც, რადგან თითოეული ქვეყნის მთავრობამ უნდა დაისახოს სწორი მიგრაციული პროცესების სტრატეგიები, რომლებიც დაარეგუ-ლირებენ და გააკონტროლებენ მიგრაციულ საკითხებს.

მიგრანტების უფლებების დაცვა და მიგრაციული პროცესების მართვა ეს არის ყველა ქვეყნის უმთავრესი ამოცანა, რადგან თითოეული მათგანის განხორციელება წარმოადგენს სახელმწიფოს უსაფრთხოებასა და სტაბილურობის განცდას.

ადამიანური რესურსების მიგრაციის დადებითი და უარყოფითიშედეგების შეფასება და გარკვევა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პროცესია.

მართალია, მიგრაციის დროს ინდივიდის ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად უმჯობესდება, მაგრამ აქცენტი შეფასებისას მუდმივად კეთდება ემიგრაციის უარყოფით მხარეზე. კერძოდ: არალეგალური დასაქმება, კრიმინალის ზრდა, მოსახლეობის რაოდენობის შემცირება, დისკრიმინაციული, უთანასწორო დასაქმება, შრომისუნარიანი ახალგაზრდების ნაკლებობა და სხვა.

არსებული უარყოფითი ფაქტორების მიუხედავად, უნდა აღინიშნოს მიგრაციის დადებითი გავლენა როგორც ინდივიდის, ასევე ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ განვითარებაზე. ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის დროს მოგებული რჩება არა მარტო პირი, რომელიც გადაადგილდება საზღვრებს გარეთ, ასევე სახელმწიფოც. ინდივიდები აგზავნიან გზავნილებს, რომლებიც იხარჯება მშენებლობაზე, განათლებაზე, უძრავი ქონების შეძენაზე და სხვა ფუფუნების საგნებზე.

გლუშენკოს მიხედვით [Глушенко Г.И,2005г,გვ. 207-208] ადამიანური რესურსების ექსპორტისგან სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს შემოსავლები ისეთი წყაროებიდან როგორიცაა: 1. საშემოსავლო ფირმების შემოსავლებიდან გადასახადები; 2. მიგრანტთა გადასახადები გზავნილებზე; 3. მიგრანტების მიერ უძრავი ქონების შეძენა; 4. სამშობლოში დაბრუნებისას შემოტანილი დანაზოგები.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ემიგრაცია მეტ-ნაკლებად ამცირებს უმუშევრობას, ხელს უწყობს სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკურიდა სოციალური პროცესების კონტროლსა და მშვიდობის დამყარებას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციას აქვს დადებითი და უარყოფითი შედეგები, როგორც ემიგრანტებისა და მათი ოჯახებისთვის, ასევე ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნებისთვის.

ამგვარად, მიგრაცია არის დადებითი მოვლენა, თუმცა საჭიროა მისი დარეგულირება მოხდეს ისე რომ მეტი ეკონომიკური და სოციალური სარგებელი მიიღოს მიგრაციაში მყოფმა მოსახლეობამ და მათმა ოჯახებმა.

საბოლოოდ, ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციაზე მოქმედი დადებითი და უარყოფითი ფაქტორების გათვალისწინებით მსოფლიო იღებს მეტ მოგებას ეკონომიკური კუთხით, ვინაიდან თავისუფალი მიგრაციის პირობებში ადამიანებს მეტი სარგებლის შეტანა შეუძლიათ ქვეყნის სხვადასხვა წარმოების სფეროებში.

1.2 გლობალიზაციის პირობებში ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის თანამედროვე გამოწვევები

საერთაშორისო მიგრაცია კომპლექსური სოციალური-ეკონომიკური პროცესია, თავისი თანმხლები გამოწვევებით. თანამედროვე სამყაროს განვითარებაში შეინიშნება ორი ერთმანეთის საპირისპირო ტენდენცია: გლობალიზაცია და რეგიონალიზაცია. ენტონი გიდენსის აზრით „გლობალიზაცია ეს არის სოციალური ურთიერთობების გამყარება, როდესაც ერთმანეთისგან შორს მყოფ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენები განიცდის არსებული პროცესების ზეგავლენას“ [შოლტე,1997, გვ.172]. გლობალური პროცესები აძლიერებს ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციას. ადამიანური რესურსების შრომის მიგრაციისა და წარმოების გლობალიზაციამ მასშტაბური ხასიათი მისცა მოსახლეობის მიგრაციას [ზ.დავითაშვილი, 2003,გვ.245].

ამასთანავე ჩნდება ახალი თანამედროვე გამოწვევები.საერთაშორისო მიგრაციული პროცესების გამოწვევების ობიექტური სურათის დასანახად, საჭიროა გაანალიზება მსოფლიო ქვეყნების მიგრაციის განვითარების ეტაპების,

განვითარებულ ქვეყნებში, მიგრაციის ეკონომიკური აუცილებლობის, დემოგრაფიული პრობლემების და მრავალი სხვა.

თანამედროვე მსოფლიოში გარდაუვალია საერთაშორისო მიგრაციული პროცესების ზრდა. იმისათვის რომ მოხდეს მიგრაციული პროცესების და მისი გამოწვევების სწორად წარმართვა საჭიროა კარგად გააზრებული სტრატეგია. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში მიმდინარეობს საერთაშორისოსოციალურ-ეკონომიკური და ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემის გარდაქმნები, იზრდება როგორც მთავრობის ასევე კერძო ორგანიზაციების ჩართულობა მიმდინარე პროცესებში. ხდება ემიგრანტთა კავშირების განვითარება, ყოველივე ეს საფუძველს ქმნის მიგრაციული სისტემების განვითარებისა და სტრუქტურიზაციის.

ზოგადად, უმჯობესია მიგრაციისა და მისი გამოწვევების განხილვა მოხდეს, როგორც ცალკე მოვლენის არსებობა. ბოლო პერიოდში მიგრაციულ პროცესებში იკვეთება დროებითი მიგრაციის მაჩვენებლის ზრდა. ადამიანები, რომელთაც გადაწყვიტეს ქვეყნიდან გასვლა, ძირითადად ირჩევენ ისეთ ქვეყნებს, რომელთა კანონმდებლობა უფრო მარტივია და მეტ-ნაკლებად მორგებულია მათ მოთხოვნებსა და მიგრაციის მიზნებზე. მათთვის მნიშვნელოვანი არ არის ფულადი გზავნილები, ინვესტიციები. ისინი ადვილად ერგებიან იმ გარემო პირობებს, სადაც აპირებენ დროებით ცხოვრებას. მათი გადაადგილება ძირითადად ხორციელდება მეგობრების, საშუამავლო ფირმების, რეკლამებისა და სხვა ინფორმაციის საშუალებით. გლობალიზაციის მიმდინარე ეტაპზე, საერთაშორისო მიგრაცია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური სისტემის განუყოფელი ნაწილია და მისი ფუნქციონირების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. მოსახლეობის მიგრაცია საზოგადოებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ნაწილია და მისი განვითარების ყოველი ეტაპი ხარისხობრივ ცვლილებას განიცდის. ახალი ტექნიკური შესაძლებლობები და წარმოების რეჟიმი, კომუნიკაციის საშუალებები, სოციალური და გეოპოლიტიკური ცვლილებები მიგრაციის ახალ ტენდენციებს წარმოქმნის მსოფლიოში და შესაბამისად თან სდევს გამოწვევებს.

დღევანდელ გლობალიზებულ სამყაროში, საერთაშორისო მიგრაცია ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც ხელს უწყობს მოქნილი შრომის ბაზრის ჩამოყალიბებასდა განვითარებული ქვეყნების მიგრაციულ პროცესებში ინტეგრაციას. საერთაშორისო შრომითი მიგრაციამ ფართო მასშტაბები მიიღო ბოლო წლებში, რის გამოც ეკონომისტების, სოციოლოგებისთვის დიდ სამეცნიერო ინტერესს წარმოადგენს. ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების გარკვევისთვის საჭიროა ქვეყნების წინაშე მდგრადი გამოწვევების გათვალისწინება, ანალიზი და სამოქმედო გეგმის დასახვა. ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება შეუძლებელია ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინების და ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის ანალიზის გარეშე.

დასავლეთის ქვეყნების უმეტესობაში საერთაშორისო ეკონომიკური მიგრაცია სერიოზულ გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე, განსაზღვრავს შრომის ბაზრის, მაღალი ტექნოლოგიების და კაპიტალის განვითარებას. ეკონომიკური მიგრაცია, ისევე როგორც საერთოდ მიგრაცია ყოველთვის თამაშობს მნიშვნელოვან როლს სახელმწიფოს თანამედროვე ეკონომიკური სისტემის განვითარებაში. სახელმწიფოებს შორის კონკურენციის ზრდა და მსოფლიო ბაზრების გლობალიზაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთაშორისო ეკონომიკური მიგრაციის პროცესებთან. მსოფლიოში შექმნილია და მუდმივად ხდება გაუმჯობესება საერთაშორისო მიგრაციის სფეროში ეფექტური პოლიტიკის მექანიზმებისა და ინსტრუმენტების.

ადამიანური რესურსების მიგრაციის საკითხები დღეს ძალიან საკამათოა. გლობალიზაციას მივყავართ მრავალ გამოწვევამდე, კერძოდ, როგორიცაა ემიგრანტთა ნაკადების კონტროლის შესაძლებლობა. უკანონო მიგრაციამ, რომელიც თანამედროვე მიგრაციის რეჟიმის დამახასიათებელი თვისება გახდა, უზარმაზარი ფარგლები შეიძინა. მიგრანტთა დიდი ჯგუფები აღმოჩდნენ არალეგალური იმიგრანტების როლში, იმიტომ რომ მათ არ შეუძლიათ სამართლებრივად მიიღონ მიმღებ ქვეყანაში არსებული სამუშაო ადგილები. ამჟამად, თითქმის ყველა ადამიანი საერთაშორისო მიგრაციაში მყოფი არის

პოტენციური მუშახელი, რომლის დეპორტაციაც შეიძლება მოხდეს. ადამიანური რესურსების მიგრაციული პროცესების მართვის უეფექტობა აისახება ქვეყნების უუნარობაში მიგრაციის პოლიტიკის კოორდინაციასა და მიგრანტების ეკონომიკურ საჭიროებებზე. სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური ზრდა დიდ წილად დამოკიდებულია, იმაზე თუ როგორ ხდება დემოგრაფიული პროცესების დროს გაჩენილი პრობლემების მოგვარება. ახალგაზრდა, შრომითი რესურსების პოტენციალის გადინება იმდენად დიდია, რომ ის ქმნის ქვეყნის დაბერების საშიშროებას.

ფაქტია რომ, გლობალიზაციის პირობებში მიგრანტებს შეუძლიათ თავიანთი როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება საცხოვრებელი ადგილის შეცვლით. მათ ასევე მარტივად შეუძლიათ შეცვალონ თავიანთი გადაწყვეტილება უცხო ქვეყანაში ცხოვრების და დაბრუნდნენ სამშობლოში. ამავდროულად მიგრანტები, რომლებიც მიმღებ ქვეყნებში კანონიერად ცხოვრობენ და მუშაობენ შესაძლებელია უკანონო მიგრანტები გახდნენ. თუ ისინი ქვეყანაში დარჩებიან ნებადართული პერიოდის მიღმა, ან ცდილობენ შეცვალონ სამუშაო ადგილი და უფრო გაიუმჯობესონ ფინანსები და პირიქით, ქვეყანაში უკანონო ემიგრანტებს შეუძლიათ შეიძინონ სამართლებრივი მდგომარეობა. სამწუხაროდ ამ ყოველივეს არ ითვალისწინებს საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკა და მისი აღმოფხვრა წარმოადგენს მიგრაციის თანამედროვე გამოწვევას. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში მიგრაცია მრავალფეროვანი ხასიათისაა. ეს კონკრეტულად ასახავს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ არასტაბილურობას, ნორმატიული რეგულაციებით სოციალური მექანიზმებით და მიგრანტთა ქცევის პროგნოზირებადობით.

ამჟამად, სხვადასხვა ქვეყნებმა მიიღეს განსხვავებული მიდგომა საერთაშორისო მიგრაციის ნიშნების და გამოწვევების იდენტიფიცირებისთვის, რომელიც დაფუძნებულია ემიგრანტთა უცხო ქვეყანაში ჩამოსვლის მიზანშეწონილობასა და დარჩენის ხანგრძლივობაზე. ამ მიზნით წარმოიქმნება მიგრანტთა რეგისტრაციის სხვადასხვა გზები, რაც შეუთავსებელია ეროვნულ სტატისტიკურ მონაცემებთან. ეს კი მნიშვნელოვნად ართულებს საერთაშორისო

მიგრაციის პროცესების შესწავლას. მნიშვნელოვანი გამოწვევებია ასევე საერთაშორისო მიგრაციის დროს სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ გადაადგილებისას, როგორც ქვეყნიდან წასვლის, ასევე უცხო ქვეყანაში შესვლის დროს. გამოწვევები განსაკუთრებით იჩენს თავს დასაქმების, სწავლის, სტაჟირების სურვილის შემთხვევაში. ამავდროულად თანამედროვე საზოგადოების სოციალურ განვითარებაში მიგრაციის გავლენა ნაკლებადაა შესწავლილი.

ჩემი აზრით, მიგრანტთა შემოდინების აუცილებლობის გამართლება არ შეიძლება იმ იდეით, რომ ისინი ჩაანაცვლებენ ადგილობრივ მუშახელს, რომელიც არ თანხმდებაზოგიერთ სამუშაოს. შრომითი ბაზრის უთანასწორობა არ შეიძლება აღმოიფხვრას პროცესში უმუშევართა ჩართვით. პერსონალის მცირე ხნით მომზადება და შემდგომი გადამზადება არ იძლევა საჭირო შედეგებს. მოსახლეობის მიგრაციის თანამედროვე მასშტაბების, ინტენსივობის, ახალი მიმართულებების და ფორმების არსებობის გამო, საჭირო გახდა მიგრაციის დაუყოვნებელი და გრძელვადიანი ეფექტების შესწავლა მიმღები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ბუნებასა და შინაარსზე. გლობალიზაცია შლის საზღვრებს და ააქტიურებს კაპიტალის, საქონლის და შრომის რესურსების ნაკადებს. იგი გამოიხატება მთელ რიგ სოციალურ, ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში, რაც იწვევს გლობალურ ცვლილებებს სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს ცვლილებები გავლენას ახდენს საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

ერთის მხრივ, საერთაშორისო ბაზრის ფორმირება ხდება ეკონომიკური სფეროს ობიექტური მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც დაფუძნებულია ადგილობრივ შრომის ბაზარზე ხარჯების შემცირების, კონკურენტუნარიანობის გაზრდის და ეკონომიკის საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდას მიგრანტთა შრომის ხარჯზე. მეორეს მხრივ, ფორმირების პროცესი ითვალისწინებს მიმწოდებელთა და მომხმარებელთა ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ და სოციალურ ტენდენციებს. ამდენად, ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკა შეუძლებელია საერთაშორისო ეკონომიკური მიგრაციის ანალიზის გარეშე. გასათვალისწინებელია, რომ გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო

მიგრაციის თანამედროვე გამოწვევების აღმოხვრაში სხვადასხვა ქვეყანამ მონაწილეობა შეიძლება მიიღოს სხვადასხვანაირად. მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, რომ არასრულფასოვანი საბაზრო მექანიზმების პირობებში ინოვაციების რისკი ძალიან მაღალია, ამიტომ აუცილებელია მთავრობის მიერ შემუშავებულ იქნას გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს ინოვაციური პროექტების რისკების შემცირებას და ახალი ბაზრების განვითარებას. ამავდროულად არსებობს საწარმოო პოლიტიკის საფრთხე, თუმცა ახალი ინდუსტრიული ქვეყნების პრაქტიკა ადასტურებს მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევის შესაძლებლობას თუ სახელმწიფო მოახერხებს განვითარების ინსტიტუტების ადეკვატური მოდელის ჩამოყალიბებას, ასევე აუცილებელია გლობალიზაციის პირობებში ტრადიციული კულტურული სივრცის განადგურებით გამოწვეული სტრესის თავიდან აცილება. მიგრაციის და მისი გამოწვევების ასეთი რეგულირება მიღწევადი და რეალურია.

ამ ეტაპზე კაცობრიობა განიცდის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ინფორმაციულ და საკომუნიკაციო, კულტურულ და ეთნიკურ გლობალიზაციის მღელვარე პროცესებს. ეს პროცესები გამოიხატება მსხვილი სავაჭრო, ეკონომიკურ და პოლიტიკური ასოციაციების შექმნით, ტრანსნაციონალური კორპორაციების პოზიციების განმტკიცებით, გლობალური საინფორმაციო სისტემის სწრაფ ზრდაში ადამიანის საქამიანობის მრავალი სფეროს კომპიუტერიზაციით. ამავე დროს იზრდება პლანეტის მოსახლეობა და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების გარდაქმნა. დიდი ხნის განმავლობაში, ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაცია განიხილებოდა, დროებითი სოციალური ფენომენით, რომელიც ძირითადად განპირობებული იყო ეკონომიკური მიზეზებით. შესაბამისად მისი გავლენა მიმღებ ქვეყნებზე შემოიფარგლებოდა შრომის ბაზრებზე ფინანსებითა და ეროვნული პროდუქციის წარმოებით. ამავდროულად, ის ფაქტი რომ ემიგრანტები რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობენ და თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებას, ტრადიციებს, კულტურას და თავიანთი ქვეყნის პრობლემებს მიიტანენ მიმღებ ქვეყნებში. ეს კი თავის მხრივ იწვევს მიმღებ ქვეყნებში ეთნიკური უმცირესობების რაოდენობის ზრდას. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა ის ფაქტი, რომ ის

სახელმწიფოები, რომლებიც ადრე გამოირჩეოდნენ ერთგვაროვანი ეთნიკური სტრუქტურით, გადაიქცნენ მრავალფეროვან და მულტიკულტურულ ქვეყნად.

ქვეყნიდან ქვეყანაში ადამიანების გადაადგილება ადამიანის ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია, ხოლო მის საწყის ეტაპებზე ბუნებრივი რესურსები და მიგრაციის სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. თანამედროვეპირობებში საერთაშორისო მიგრაციის ნაკადები დიდწილად დამოკიდებულია ხალხის კულტურული ღირებულებებსა და საზოგადოების ინსტიტუციონალურ სტრუქტურაზე.

ამავდროულად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ადამიანების სხვადასხვა ჯგუფების ურთიერთობისას წარმოიქმნება ნდობა ერთმანეთის. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურების გარდაქმნა თანამედროვე საერთაშორისო მიგრაციის გავლენით შეიძლება ჩაითვალოს ნორმატიული მიდგომის ნაწილად. გლობალიზაციის პირობებში, ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე საერთაშორისო მიგრაციის გავლენის შეფასება გულისხმობს ინდიკატორის ცვლილებას სასურველ დონეზე, განსხვავებულობის ხარისხი რომელიც წარმოჩინდება ქვეყანაში ეკონომიკური ცვლილებებისას. საერთაშორისო მიგრაციის დროს სოციალურ-ეკონომიკური შედეგები უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკური სისტემის სტრუქტურულ ცვლიბებს, შრომითი რესურსების საგანმანათლებლო და პროფესიული კვალიფიკაციის რაოდენობას და სტრუქტურას, დემოგრაფიულ სიტუაციას, შრომის ბაზრის მდგომარეობას და შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტურობას.

მიმღები ქვეყნის გარე მიგრაციის ეკონომიკური ეფექტის პირდაპირი გამოხატულებაა მთლიანი შიდა პროდუქტის დამატებით წარმოებულიღირებულება. ამასთანავე გასათვალისწინებელია ისეთი გამოწვევები როგორიცაა: პირდაპირი ხარჯი, რომელიც გაიცემა ნებართვის გაცემის და დადგენილი სამართლებრივი ნორმების დარღვევის, დაკავების, დეპორტის ხარჯებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ გლობალიზაციის პირობებში თანამედროვე საერთაშორისო მიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი დამოკიდებული არაა მხოლოდ მისი ნაკადის

ხარისხობრივ და რაოდენობრივ მახასიათებლებზე, არამედ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაზე, მისი ეკონომიკური სტრუქტურის, სტრუქტურულ-დინამიკურ მახასიათებლებზე და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის არჩევანზე. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია სარგებელი და დანაკარგი გარე მიგრაციისგან მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში.

მცირე ქვეყნებმა უნდა შეძლონ ფეხის აწყობა გარე პირობების ცვლილებებისთვის. მხოლოდ ასეთი მიდგომით მოხდება არსებულ ცვლილებებთან შეგუება და ინდივიდუალურობის შენახვა და დაცვა. მსოფლიოს ყველა ქვეყანას გააჩნია ის უპირატესობები რითაც შეუძლია კონკურენცია გაუწიოს სხვა ქვეყნებს. ასეთ პრიორიტეტულ უპირატესობებს მიეკუთვნება გეოპოლიტიკური, გეოგრაფიული და პოლიტიკური მდგომარეობის სტრატეგიები. ამრიგად, კონკურენტული გარემოს შექმნისთვის საჭირო გეოპოლიტიკური და ეკონომიკურ გეოგრაფიული მდებარეობა, არაგონივრული გამოყენების გზით შეიძლება უარყოფითი მიზეზების გამომწვევიც კი იყოს.

მნიშვნელოვანია ქვეყნის ტრადიციული წარმოების კონკურენტუნარიანობის გაზრდა. კონკურენტუნარიანი, სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებისათვის განსაკუთრებით საჭიროა ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა. ამისათვის კი საჭიროა მოხდეს რეგულირების სისტემის გამარტივება. ყურადღება მისაქცევია ასევე გაცვლითკურსთან დაკავშირებულიცვლილებები. იგი არის შიდა ეკონომიკის და საგარეო ვაჭრობის ხელმშეწყობი ფაქტორი. გლობალიზაციის პირობებში მიგრაციის გამოწვევების კიდევ ერთი მაგალითია კონფლიქტებისგან თავის არიდება და უსაფრთხოება. დიდია როგორც ადამიანური რესურსების გადინების, ისე შემოდინების და დიასპორის როლი ამ საქმეში. არსებობს მრავალი მაგალითი დიასპორის საშუალებით კონფლიქტების როგორც გაღრმავების, ისე მოგვარების.

აქედან გამომდინარე, მიგრაციულ პროცესებში ერთ-ერთი განსაკუთრებული როლი აქვს მინიჭებული საზოგადოების უსაფრთხოების პირობების გაუმჯობესებას. საერთაშორისო ეკონომიკის განვითარებაში მიმდინარე გლობალიზაციის ფონზე არსებული გამოწვევების მანიშნებლად შეიძლება

მივიჩნიოთ განსხვავება ეროვნულ ეკონომიკასა და მსოფლიო ეკონომიკის შორის არ არსებულ წესრიგზე. ამდენად მნიშვნელოვანია ამ არ არსებული წესრიგის დარეგულირება. საჭიროა შიდა და გარე ეკონომიკური ურთიერთობების მოწესრიგება.

დღეს არსებული მდგომარეობით საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის მოგვარება დამოკიდებულია მსოფლიოს ქვეყნებს შორის ურთიერთკავშირზე, რაც ვლინდება საქონლისა და კაპიტალის ლიბერალიზაციით. ყველა ქვეყანა აღიარებს სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური უსაფრთხოების აუცილებლობას, თუმცა აღნიშნავენ რომ საჭიროა ეს ყოველივე არ არღვევდეს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. შესაბამისად სავალდებულოა შრომითი ბაზრის მაღალხარისხიანი და ეფექტური მოქმედება. ამგვარად, გლობალიზაციის თანმდევმა გამოწვევებმა მსოფლიო დააყენა ახალი, ეკონომიკური კონცეფციის შემუშავების აუცილებლობის წინაშე. იგი აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის განვითარების მხრივ სხვაობას, უნდა ასახავდეს უარყოფითი შედეგების შემცირებისათვის საჭირო გზებსა და მათი განხორციელების საშუალებებს.

მიგრაციული პროცესების გლობალიზაციისას თუ არ მოხდა სახელმწიფოს როლის ზრდა აუცილებლად გაღრმავდება ცალკულ სოციალურ ჯგუფებს შორის ფინანსური შემოსავლების არათანაბარი ზრდა.

საყურადღებოა ასევე რეგიონალიზაციის პროცესები, რომელიც ასევე შეამცირებს მატერიალური დოვლათის ბრუნვას ხანგრძლივვადიან პერიოდში.

მართალია, ემიგრაციის დროს ფულადი გზავნილები ეკონომიკის განვითარების ძირითადი წყაროა, მაგრამ გლობალიზაციის დროს არსებული გამოწვევების პირობებში არც ერთ ქვეყანაში არ არის სრულად რეალიზებული. მათ ინვესტირებაზე გავლენას ახდენს ქვეყნის გაცვლითი კურსი და სხვა ფაქტორები. ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად საჭიროა არსებული წინააღმდეგობების გადალახვა, რაც ყოველივე ზემოთ მოცემული ფაქტორების ქვეყნის ეკონომიკის ხელშემწყობი ფაქტორებად გადაქცევას განაპირობებს. ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის ზრდა შესაძლებელია მოხდეს მომავალში.

მნიშვნელოვანი საკითხია სოციალური ადაპტაციის მომენტი. მეტ-ნაკლებად ემიგრანტთა უმრავლესობა ახერხებს შეგუებას, თუმცა აღნიშნავენ მწვავე პრობლემებს, რომელიც არის დამახასიათებელი სამამულო ქვეყნებისთვის. ამ პრობლემის ჩამონათვალს შეიძლება მივაკუთვნოთ სამუშაოს დაწყების და დოკუმენტაციის მხრივ პრობლემები, სამართალდამცავ ორგანოებთან გართულებული ურთიერთობები უკანონო ემიგრანტებად ყოფნის დროს რადგან ისინი დაუცველნი არიან ტრეფიკინგისგან. თუმცა შეიძლება ვივარაუდოდ, რომ უცხო ქვეყნების ხელისუფალნი ტოლერანტულნი არიან უკანონო მიგრანტების ყოფნის საკითხთან დაკავშირებით. ეს დაასაბუთებს იმ ფაქტს, რომ არალეგალურობა ამცირებს მათი შრომის ფასს და ქმნის პირობებს ექსპლუატაციისთვის, ხოლო თვითონ საწარმოები კონკურენტუნარიანნი რჩებიან.

დამოკიდებულება ემიგრანტი მუშახელის მიმართ ხშირად ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა დაცვას, საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს და საერთაშორისო ნორმებს. ამ ერთ-ერთი მთავარი გამოწვევის მოგვარების გზა, შრომის ბაზრების და ეფექტური შრომითი ურთიერთობის შენარჩუნებისათვის გლობალიზაციის პირობებში, არის თანასწორობა და დისკრიმინაციის არ არსებობა. თუმცა აღსანიშნავია, რომ დისკრიმინაცია თამაშობს მთავარ როლს სეგმენტაციის შენარჩუნებაში შრომით ბაზარზე. იგი ხელს უწყობს გარკვეული სახის სამუშაოსათვის სამუშაო ძალის ჯგუფების შემცირებას.

პოლიტიკოსებისა და სამთავრობო სტრუქტურებისთვის მიგრაციის კონტროლის საკითხი გახდა საყოველთაო და საბიუჯეტო სახსრების მოზიდვის სასარგებლო საშუალება. მიგრაციის თემის პოლიტიზირება მიგრანტთა უფლებების დაცვის ჰუმანიტარულ საკითხებს შეეხო და პირველ ადგილზე გადმოწია, მიგრაციის მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარებისთვის, მეორე ეტაპზე მიგრაციის პოლიტიკის მართვაში ძირითადი ორიენტაცია არის ადამიანთა უკანონო ვაჭრობისა და ადამიანის კონტრაბანდის თავიდან აცილებისა და აღკვეთის ღონისძიებები, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ეს პრიორიტეტები ფურცლებზე რჩება.

ამგვარად, ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის დროს ადამიანის კაპიტალის განვითარება ხორციელდება სახელმწიფო, მოსახლეობის და

ბიზნესის კომპლექსური ურთიერთქმედებით. ადამიანური კაპიტალი და ადამიანური განვითარება არ უნდაგანიხილებოდეს მხოლოდ განვითარების ფაქტორებად, არამედ ამ განვითარების ძირითადი მიზანი ღირებულებებზე დაფუძნებულ ეკონომიკაში.

შეჯამებისთვის, შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო მიგრაციის თანამედროვე გამოწვევები: სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევა მიგრანტთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების გზით, ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკის ოპტიმიზაცია. განვითარების პროცესების კონტროლირებადი ზრდა, კერძოდ, კომპლექსური და სოციალური, ტექნიკური სისტემებით, მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ტერორისტული მოძრაობის საქმიანობის შეზღუდვის გზით. ეს ყოველივე კი მოგვარებადია მსოფლიოს ყველა ქვეყნის ძალისხმევითა და ეფექტური გადაწყვეტილებებით.

1.3 ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის კვლევის მეთოდები

ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის მასშტაბური ხასიათი განაპირობებს უფრო ეფექტური კვლევების ჩატარების საჭიროებას, რომლის ძირითადი მიზანი იქნება მიგრაციის მიზეზებისა და მასში არსებული პრობლემების აღქმა და განვრცობა.

კვლევის ჩატარება მნიშვნელოვანია როგორც სამეცნიერო, ასევე სხვადასხვა სფეროებში. გლობალიზაციის პერიოდში ყოველდღიურად წარმოიშობა ახალი საკითხები, პრობლემები და ისეთი მოვლენები, რომელიც საჭიროებს გამოკვლეულ იქნას თითოეული საკითხისადმი დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზები.

კვლევის ჩატარების დაწყებამდე აუცილებელია მოხდეს გაანალიზება იმისა თუ რას ნიშნავს კვლევა და რა საკვლევი მეთოდები არსებობს.

კვლევის არსი შესაძლებელია გაგებულ იქნას, როგორც ლოგიკური და სისტემატიური ძიება ახალი, სასარგებლო ინფორმაცის, რომელიც დაკავშირებული იქნება გლობალური მოვლენებთან. ეს არის კვლევა ცოდნის შეძენისათვის და ჭეშმარიტების აღმოჩენისთვის. ინფორმაცია შესაძლებელია მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროებიდან და მეთოდებიდან. კვლევა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პროცესების განვითარებაში. კვლევის აქტუალურობასთან ერთად მნიშვნელოვანია ასევე მეთოდებისა და მეთოდოლოგიის არსის შეცნობა.

კვლევის მეთოდები არის სხვადასხვა პროცედურები, სქემები, ალგორითმები რომელიც გამოიყენება სამეცნიერო კვლევაში. იგი შეიცავს თეორიულ საკითხებს, ექსპერიმენტებსა და სტატისტიკურ მონაცემებს. მეთოდი საშუალებას იძლევა შეგროვებულ იქნას გარკვეული მაგალითები, სტატისტიკა და პრობლემების დაძლევის გზები, რაც შეეხება მეთოდოლოგიას იგი გულისხმობს სისტემატიურ გზას პრობლემის დაძლევის. ეს არის მეცნიერება, რომელიც საშუალებას აძლევს და აჩვენებს მკვლევარს თუ როგორ უნდა წარმართოს არსებული საკვლევი თემა [Rajasekar.S; Philominathan, P; გვ. 5].

ამგვარად, ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციაზე კვლევის ჩატარება მნიშვნელოვანი და რთულია. კვლევის განხორციელებისთვის აუცილებელია მისი დაგეგმვა, შესრულება და შემდეგ ყველა მონაცემის ანალიზი და ინტერპრეტაცია. ყველაზე მთავარი კი არის სწორად იქნას განსაზღვრული კვლევის მეთოდი, რომელიც შემდგომი წარმატების განმსაზღვრელი იქნება.

ჩემს მიერ შესრულებულ ნაშრომში გამოყენებულია საერთაშორისო მიგრაციის შესწავლის მეთოდოლოგიები, რომელიც დაფუძნებულია ისეთ მეთოდებზე როგორიცაა: სტატისტიკური, რაოდენობრივი, თვისებრივი და შერჩევითი, დედუქცია, ინდუქცია, შედარებითი ანალიზის მეთოდები.

ეკონომიკის დოქტორის დ. კბილაძის განმარტებით „სტატისტიკური მეთოდი დაფუძნებულია რაოდენობრიობასა და თვისებრიობას შორის კავშირის

საფუძველზე, რომელიც სწავლობს პირველის მეორეში და მეორეს - პირველში გადასვლას.'' [დ.კბილაძე.2015.გვ.30].

დედუქციური მეთოდის შემთხვევაში ზოგადიდან მივდივართ კონკრეტულ დასკვნამდე, რომელსაც ასევე ეწოდება ჰიპოთეზის მეთოდი. ხოლო ინდუქციური პირიქით - კონკრეტულიდან შესაძლებელია მიღებულ იქნას ზოგადი დებულება.

სამეცნიერო ნაშრომის შესრულებისას ასევე ყველაზე მნიშვნელოვანი კვლევის მეთოდების ისეთი ტიპები გამოიყენება როგორიცაა: თვისებრივი და რაოდენობრივი.

მართალია ეს ორი მეთოდი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ მათი ძირითადი გამაერთიანებელი მიზანია არსებული ცოდნის გაღრმავება საკვლევი ობიექტის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება და არსებული კვლევის შემდგომ მიღებული შედეგებით მიგრაციულ პროცესებში არსებული პრობლემების აღმოხვრა.

კვლევის დროს თვისებრივი მეთოდის გამოყენების გზით ხდება სოციალური ცხოვრების შესწავლა. ამ მეთოდის ღირსებად შეიძლება ჩაითვალოს ის რომ, იგი საშუალებას გვაძლევს კვლევა დავინახოთ საკვლევი ობიექტის თვალით. მისი გამოყენებისას შეინიშნება ისეთი წვრილმანები, რომელიც შეუძლებელია რაოდენობრივი კვლევის დროს. თვისებრივი კვლევის დროს ვიძენთ უფრო სიღრმისეულ ცოდნას საკითხისადმი, რომელსაც შევისწავლით და ვიკვლევთ. თვისებრივი მეთოდებისას შესაძლებელია გამოვიყენოთ ინტერვიუ და დაკვირვება, რაც საშუალებას იძლევა უფრო მრავალმხრივ მოხდეს კვლევის საგნის შესწავლა. ამავე დროს კვლევის მიმდინარეობისას გასათვალისწინებელია ინდივიდის თვისებები და ეთიკური პრინციპები.

თვისებრივი მეთოდები ასევე საშუალებას იძლევა კვლევაში გამოყენებული იქნას სხვადასხვა ტექნიკა, კერძოდ ფოტოგრაფია, რომელიც წარმოადგენს სიახლეს მიგრაციულ კვლევებში და დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამასთანავე, მონაცემთა შეგროვებისას იგი მოითხოვს დიდ დროს, ძალისხმევასა და მაღალი პასუხიმგებლობის გრძნობას მკვლევარის მხრიდან, ვიდრე კვლევის რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებისას. მიუხედავად ამისა, თვისებრივი მეთოდის

გამოყენებითკვლევის ჩატარებისას ძნელია დამტკიცება მიღებული შედეგის, დამტკიცება იმისა თუ რამდენად ობიექტურია. თვისებრივი მეთოდით ჩატარებული კვლევის შედეგების ძირითადი მიზანი არის ადამიანის მიერ აღქმული როლის დანახვა სამყაროში.

რაოდენობრივი კვლევის მეთოდი თვისებრივთან შედარებით მეტად გავრცელებულია. მისი საშუალებით ხდება მეტად საიმედო მონაცემების მოპოვება და ამავე დროს საშუალებას იძლევა მოხდეს მოპოვებული მონაცემების საფუძველზე უკვე არსებული მონაცემების გაანალიზება.

რაოდენობრივი მეთოდებით კვლევის დროს გამოიყენება ანალიზი, გამოკითხვა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები, ქულები და პროცენტები. მისი ძირითადი მიზანი არის სოციალურად განსაკუთრებული მოვლენის სიხშირის გამოვლენა.

ეს მეთოდი საშუალებას იძლევა ადამიანური რესურსების დიდ მასებზე მოხდეს შედეგების გათვლა. თ. ზურაბიშვილის მიხედვით „რაოდენობრივი კვლევის შედეგების ერთ-ერთ უმთავრეს ღირსებას ამ შედეგების რეპრეზენტატულობა წარმოადგენს, რაც გულისხმობს, რომ კვლევის პროცესში გამოკითხული ადამიანები პროპორციულად წარმოადგენენ მთელ მოსახლეობას ან მოსახლეობის იმ ნაწილს, რომლის შესწავლა დაგეგმილია კვლევის პროცესში [თ.ზურაბიშვილი, 2006; გვ: 6].

რაოდენობრივი კვლევის მეთოდები უფრო თანმიმდევრულად ყალიბდება ვიდრე თვისებრივი, რადგან რაოდენობრივი კვლევის პროცესში თითოეული დეტალი წინასწარ არის დაგეგმილი და მოფიქრებული, ხოლო თვისებრივი მეთოდი ვითარდება კვლევის პროცესში. შესაბამისად რაოდენობრივი მეთოდი უფრო ობიექტურია ვიდრე თვისებრივი, რომელიც დამოკიდებულია მკვლევარის სუბიექტურ შეფასებაზე. ეს ყოველივე განაპირობებს მისი შედეგების მაღალ სანდოობას.

გამომდინარე იქიდან, რომ ორივე კვლევის მეთოდს აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები,შესაძლებელია დავასკვნათ რომ თავდაპირველად უმჯობესია პრიორიტეტების გამოყოფა და მის მიხედვით მეთოდის არჩევა. მაგრამ იმისათვის რომ კვლევის შედეგები უფრო მაღალი ეფექტურობითა და სანდოობით

გამოირჩეოდეს, რასაც ბოლო წლებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, საჭიროება დგება ორივე მეთოდის ერთდროული გამოყენების. მათი გამოყენება საშუალებას მოგვცემს მივიღოთ უფრო ზუსტი და სანდო კვლევის შედეგები, რომელიც წარმოადგენს წარმატების ერთ-ერთ საწინდარს.

თავი2. ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის სოციალური და ეკონომიკური ასპექტები

2.1 ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის თანამედროვე ტენდენციები

უკანასკნელ წლებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით მნიშვნელოვნად გაზრდილი მიგრაცია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ქმნის ახალ ტენდენციებს და გამოწვევებს, რომელიც მოითხოვს ინოვაციურ მიდგომებს.

მიგრაციული პროცესების ზრდა შესაძლებელია განპირობებული იყოს სხვადასხვა მიზეზებით, კერძოდ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, რელიგიური და სხვა. თუმცა ასევე საყურადღებოა, რომ მიმდინარე გლობალიზაციისა და უვიზო რეჟიმის პირობებში ქვეყნებს შორის სასაზღვრო ტერიტორიები თითქმისიკარგება, რის გამოც კიდევ უფრო მკვეთრად იზრდება მიგრაციაში წამსვლელთა რაოდენობა.

ჩემი თვალთახედვით, მას შემდეგ რაც გავეცანი სხვადსხვა მკვლევართა და მეცნიერთა ნაშრომებს შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაცია პირდაპირპროპორციულად დაკავშირებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან.მისი როლი მიგრაციაში შეიძლება განვიხილოთ შემდეგი თვალსაზრისით: მიგრანტი, მიმღები და გამშვები ქვეყნები. ინტერესი სამივე სუბიექტის შესაძლებელია ემთხვეოდეს ან ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს.

იმისათვის რომ, ნათლად დავინახოთ და გავაანალიზოთ ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის თანამედროვე ტენდენციები, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დავარღვიოთ სტერეოტიპული მიდგომა მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით.

დღევანდელ რელაობაში, მიგრაციის მზარდი ტემპი ერთ-ერთ მწვავეს საკითხად განიხილება. კვლევებით დასტურდება მისი დადებითი გავლენა მიგრანტის და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებაზე.

გახსნილი საზღვრების პირობებში, თავისუფალი მიგრაცია საშუალებას იძლევა, ადამიანური რესურსების შრომის გამოყენების გზით დიდი წვლილი შეიტანოს მსოფლიო პროდუქციის წარმოებაში. მსოფლიო ეკონომიკის ეფექტურობის ზრდას კი უნდა ველოდოთ თუ მოხდება მიგრანტთა შრომის უფრო ეფექტური გამოყენება მათი შრომის რეალური და მომავალი საჭიროებების გათვალისწინებით, ასევე შრომის პირობების, ანაზღაურების გაუმჯობესებით და დარეგულირებით.

ვიდრე განიხილება ქვეყანაში მიმდინარე მიგრაციის თანამედროვე ტენდენციები და მიგრაციის მრავალმხრივი მოქმედება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, მანამდე უნდა შეფასდეს ამა თუ იმ ქვეყნის მზაობა ემიგრანტთა გაზრდილი ნაკადის მისაღებად. ასევე გასათვალისწინებელია, ქვეყნის ეკონომიკაზე გავლენის მქონე მრავალი ფაქტორიდან მიგრაციული პროცესების მიმდინარეობის დრო და ადგილი.

დადასტურებულია, რომ ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას განაპირობებს მიგრაციული პროცესების განვითარების ტემპები, რომელიც მჭიდრო კავშირშია მოსახლეობასთან და ადამიანურ კაპიტალთან, რომელიც თავის მხრივ კიდევ გავლენას ახდენს შრომით ბაზარზე.

შრომის ბაზარზე მიგრაციის გავლენის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მისი ზემოქმედება შრომის ბაზრის ხარისხობრივ სტრუქტურაზე. კვლევები აჩვენებს, რომ მიგრაცია აუმჯობესებს შრომის სტრუქტურას. ცნობილია რომ, მიგრანტების ეკონომიკურ ინტერესს შეადგენს პირადი ცხოვრების დონის ამაღლება, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური თვალსაზრისით.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა კავშირშია ადამიანურ რესურსების მიგრაციასთან, რომლის ხელმშეწყობი არის უმუშევრობის და დასაქმების დონის ცვლილება.

ზოგადად ყველა პროცესი, რომელიც მიმდინარეობს მიგრაციის დროს დამოკიდებულია მაღალ ანაზღაურებაზე, რომლის მიღების სურვილიც ამოძრავებს ემიგრანტს. ანაზღაურება კი არის ის საფასური, რასაც მას უხდიან შესრულებულ სამუშაოში მისი უნარების მიხედვით და რომელიც ყველა ქვეყნისთვის სხვადასხვაა.

არსებული და განხილული ინფორმაციის მიხედვით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მიგრაციის გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე ზოგადად დადებითადაა შეფასებული, თუმცა ვხვდებით მოსაზრებებს მისი უარყოფითი გავლენის როგორც ადამიანის ცხოვრებაზე, ისე ქვეყნის ეკონომიკაზე.

აღიარებულია, რომ მიგრანტები ზედმეტ პრობლემას ქმნიან მიმღების ქვეყნის ბიუჯეტისთვის, რაც გამოიხატება გაზრდილი ხარჯით როგორც პოლიტიკური ისე სოციალური თვალსაზრისით, თუმცა ჩვენ ვეთანხმებით მკვლევართა იმ მოსაზრებას, რომ მიგრანტები უფრო მეტ გადასახადებს იხდიან ქვეყნის ბიუჯეტში, ვიდრე მათზე დახარჯული თანხებია.

მართალია, მიგრაცია ძირითადად აღიქმება როგორც მოსახლეობის ქვეყნიდან გასვლა, მაგრამ ბოლო პერიოდში ყურადღების ცენტრში მოექცა იმიგრაცია და მისი გავლენა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებზე. მიმღები ქვეყნისთვის იმიგრაციას დიდი სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია აქვს, ვინაიდან ხდება წარმოება და მოხმარება ადგილობრივი პროდუქციის. ეს კი პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ემიგრანტები უცხო ქვეყანაში ასრულებენ ისეთ სამუშაოს, რომელიც მიმღები ქვეყნის ეკონომიკის გაუმჯობესებითვისაა აუცილებელი, მაგრამ არის დაბალანაზღაურებადი, არაპრესტიჟული, ჯანმრთელობისთვის საზიანო.

აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ მიზეზების გამო ადგილობრივი მუშახელი არ თანხმდება დაბალი ანაზღაურებით ასეთი სამუსაოს შესრულებას, ხოლო ემიგრანტები, რომელთა უკან გაჭირვებული ოჯახები დგანან თავიანთი ჯანმრთელობის გაუარესების ხარჯზე თანხმდებიან მსგავს პირობებს.

წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეგვიძლია გამოვყოთ ერთ-ერთი საინტერესო ნიშანი მიგრაციის: ადამიანური რესურსების შემოდინება

სასარგებლო იქნება ქვეყნისთვის იმ შემთხვევაში, თუ ემიგრანტი შეასრულებს იმ სამუშაოს, რაზეც ადგილობრივი მუშახელის ნაკლებობა იქმნება სხვადასხვა მიზეზების გამო.

მართალია, ემიგრაციის დროს იკარგება როგორც კვალიფიციური, ისე არაკვალიფიციური მუშახელი, მაგრამ პროცესების განვითარებით ქვეყანა იღებს ფულად შემოსავლებს - გზავნილების სახით, ეს კი პირდაპირ აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

ჩვენ შეგვიძლია არსებული სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ფულადი გზავნილები განვიხილოთ ერთ-ერთ ძირითად ეკონომიკურ ტენდენციად. ფულადი გზავნილები ხელს უწყობს როგორც მოსახლეების ცხოვრების დონის ამაღლებას ისე ქვეყნის გადასახადების ბალანსის გაზრდას, რომელიც თავის მხრივ წარმოშობს მოთხოვნის ზრდას შიდა პროდუქციაზე და აქაც შესაბამისად მოჰყვება დასაქმების გაზრდა ქვეყნის შიგნით. ეს ეხება როგორც უცხოურ ინვესტიციებს, ისე ემიგრანტებისგან გამოგზავნილ ფულად გზავნილებს, თუმცა მეტი დატვირთვა ენიჭება უცხოურ ინვესტიციებს.

მიგრანტების ფულადმა გზავნილებმა შესაძლებელია მოთხოვნის ზრდა გამოიწვიოს პროდუქციასა და მომსახურეობაზე და ეროვნული ვალუტის კურსზეც გავლენა იქონიოს. [Christopher P.Ball, J.Reyes, C.Lopez; 2013, გვ.487-507].

როდესაც იზრდება სამომხმარებლო მოთხოვნები შესაბამისად ეს იწვევს ფასების ზრდას, თუმცა იმ პირობებში, როცა ფულადი გზავნილები მცირეა მთლიან შემოსავლებში, დიდი ეფექტის მოლოდინი არ არის ქვეყანაში.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობ რომ ერთის მხრივ, ფულადი გზავნილები მეტ-ნაკლებად ამცირებს სიღარიბეს, მაგრამ ასევე გასათვალისწინებელია ვინ არიან მიმღებნი გზავნილების. თუ ისინი არიან ეკონომიკურად შედარებით უკეთეს პირობებში მყოფნი, ამან შესაძლებელია უფრო გაამძაფროს მდგომარეობა ქვეყანაში დარჩენილი დაბალი შემოსავლის მქონე ფენის.

ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის ტენდენციებს მიეკუთვნება ასევე მისი გავლენა ხელფასებზეც. ეს ეხება როგორც იმპორტიორ, ისე ექსპორტიორ ქვეყნებს. ეს შესაძლებელია განვიხილოთ ასე: როდესაც დასაქმების

მსურველთან რაოდენობა დიდია, დამსაქმებელი იყენებს ემიგრანტის (იაფი მუშახელის) შრომას, რითაც ის შესაბამისად აფერხებს ხელფასების ზრდას ადგილობრივი მუშახელისთვის, რაც დიდი შეღავათია და დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საპირისპირო მოვლენა ხდება იმ ქვეყნებში, სადაც მიემგზავრება მაღალკვალიფიციური კადრი, რომელთა ძირითადი მიზანი, უნდა ვივარაუდოთ რომ არის სამშობლოში არსებული ხელფასის, ეკონომიკური მდგომარეობის და სოციალური პირობების გაუმჯობესება. მათი შრომის გამოყენება, იქ სადაც დიდია მოთხოვნილება კვალიფიციური კადრის, ხელსაყრელია დამქირავებლისთვის, მაგრამ ზუსტად ისეთი კადრის მოძიება და მათით ჩანაცვლება, როგორიც ჰყავთ უკვე, დამსაქმებლებისთვის სირთულეს წარმოადგენს. შესაბამისად ეს განაპირობებს ხელფასების ზრდის აუცილებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში შეფერხდება წარმოება, რაც არცერთი მხარისთვის არ იქნება მომგებიანი.

თემაზე მუშაობის პროცესში გაჩნდა მრავალი კითხვა. ერთ-ერთი მათგანი არის მიგრანტების გზავნილების გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ შემოსავლებზე და თვით მიგრანტთა ოჯახების ფინანსურ მდგომარეობაზე. ამ კითხვებზე პასუხის გაცემისთვის კი საჭიროა მზარდი საერთაშორისო მიგრაციის განმაპირობებელი და მასზე მომქმედი ფაქტორების გავლენის მუდმივი გაანალიზება და შედეგების, ტენდენციების შეფასება. საჭიროების შემთხვევაში სამოქმედო გეგმის, სტრატეგიის შემუშავება და სწრაფი რეაგირება.

ამგვარად, ჩემი აზრით, მიგრაცია თავისი დადებითი და უარყოფითი გამოვლინებებით რჩება ცხოვრების შემცვლელ გამოცდილებად. ნებისმიერი ადამიანისთვის, მას აქვს უფრო ღრმა გავლენა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს და აღიქმება. იგი ცვლის მიგრანტის იდენტობას, ღირებულებებს, თვითშეფასების უნარს. აძლევს მათ თვითრეალიზების, პირადი თავისუფლების მოპოვების საშუალებას.

2.2 ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები

ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების გაანალიზებისას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ შედეგებს. აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანური რესურსების მიგრაცია არის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა და მისი შედეგებიც გავლენას ახდენს როგორც ემიგრანტის, ისე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე. იგი მნიშვნელოვნად ცვლის შრომითი რესურსების შემადგენლობას, როგორც ექსპორტიორ, ასევე იმპორტიორ ქვეყნებში, ქმნის ახალ სიტუაციებს შრომით ბაზარზე.

ჩემი დასკვნით, მზარდი მიგრაციის პირობებში განვითარებული შედეგები შესაძლებელია იყოს დადებითიც და უარყოფითიც. მისი განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ თვით ემიგრანტთა სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობაც. მიგრაციის პირობებში ხშირად ემიგრანტთა კვალიფიკაციის დონე გაცილებით მაღალია, ვიდრე შესასრულებელი სამუშაო მოითხოვს, მაგრამ თანახმანი არიან მაღალი ანაზღაურების ხარჯზე მისი შესრულების. ამის მიზეზი კი უპირობოდ ცალსახაა: არაპრესტიჟული სამუშაოს შესრულებაში მიღებული თანხები უზრუნველყოფს მათ ოჯახებს. ამის ნათელი მაგალითია „ქალთა შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მოთხოვნის სპეციფიკურობა. ემიგრანტთა ნაკადში ქალების წილი 35,3%-ი იყო 2005 წლის მონაცემებით. მათი დაახლოებით 2/3 მუშაობდა ძიძად ან შინამოსამსახურედ. 12.9% გამყიდველი ან ოფიციანტი იყო, ხოლო მცირე ნაწილი (10,4%) თავისი სპეციალობით, მაშინ როცა სამუშაოდ წასულ ქალთა კონტიგენტის ნახევარზე მეტი (53,8 %) უმაღლესი განათლების სპეციალისტი იყო.“ [მ.ჭიპაშვილი, 2005, გვ.34-35].

შესაბამისად ადამიანური რესურსების მიგრაციით ხდება სამუშაო ძალის შევსება მიმღებ ქვეყნებში, მათი სოციალური გადასახადებიც დადებით ასახვას ჰპოვებს ქვეყნის ეკონომიკაზე.

ადამიანური რესურსების მიგრაციული პროცესები დადებით როლს ასრულებს ქვეყნის წარმოების განვითარებაზე, ვინაიდან ავსებს როგორც პირადი, ასევე საინვესტიციო კაპიტალით.ადამიანები თავისი ადამიანური უნარ-ჩვევებისა და განათლების მიღებით ზრდიან როგოროც თავიანთ შემოსავლებს, ასევე ხელს უწყობენ ეკონომიკურ ზრდასაც. ეს კი შესაბამისად განაპირობებს, როგორც ტრადიციული დარგების განვითარებას, ასევე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დაკომპლექტებას ეკონომიკური საქმიანობის სფეროში.

ჩემი დაკვირვებებით და არსებული მონაცემების გაანალიზებით ეგრედ წოდებული მაღალკვალიფიციური კადრის გადინების ზრდამ გამოიწვია მიმღები ქვეყნის ემიგრაციული პოლიტიკის გავლენის ცვლილება, დაბალი განათლების და კვალიფიკაციური მიგრანტთა შემოდინებასა და შემდგომ დასაქმებაზე. ემიგრანტთა კვალიფიკაციის თანამედროვე აღქმა ჩემი აზრით, დამოკიდებულია მსოფლიოში მიმდინარე, როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე ისტორიული პროცესებით. ასევე აღმოვაჩინე, ეგრედ წოდებულიენის ტრეინინგების გავლის და ხელმისაწვდომობის დადებითი შედეგები, დასაქმებისას მუდმივი კონტრაქტით ხელშეკრულების ზრდის თვალსაზრისით.

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ზემოთ თქმულს, შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ მიმღები ქვეყნისთვის მიგრაციის დადებითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები:

1. იაფი მუშახელის გამოყენებით იზოგება საქონლის წარმოებისთვის საჭირო ხარჯი, ამით კი იზრდება მიღებული და წარმოებული პროდუქტის კონკურენციის უნარი.
2. წარმოიქმნება დამატებითი საჭიროებები, მოთხოვნები პროდუქციასა და მომსახურებაზე, რის გამოც იზრდება წარმოების მოცულობა და შესაბამისად სამუშაო ადგილების რაოდენობა.
3. იზოგება ფულადი ხარჯი ადგილობრივი კადრის პროფესიული მომზადებისთვის, შემოსული კვალიფიციური კადრების გამოყენებით.
4. ეკონომიკური კრიზისის დროს თავდაპირველად ახორციელებენ მიგრანტების გათავისუფლებას სამუშაო ადგილიდან.

5. ემიგრანტები არ მონაწილეობენ სოციალური პროგრამებში და არ იღებენ ისინი პენსიებს.

მკვეთრად გამოხატულ დადებითი-სოციალური-ეკონომიკურ შედეგებთან ერთად ვლინდება უარყოფითი მხარეებიც, რომელიც თავს იჩენს სოციალური დაძაბულობით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არის სამუშაო ადგილის სიმცირე და ამ მცირე ადგილებზე პრეტენზიას გამოთქვამენ ადგილობრივი მცოვრებნი.

იმის ასახსნელად, თუ რა გავლენას ახდენს ადამიანური რესურსების მიგრაცია ეკონომიკურ პროცესებზე აუცილებელია გაანალიზებულ იქნას ასევე, მიგრანტთა სამშობლოში დაბრუნების მოვლენაც.

აღსანიშნავია რომ, სამშობლოში დაბრუნებულ ადამიანებში ჭარბობს ის სამუშაო ძალა, რომელმაც ვერ შეძლო საერთაშორისო ბაზარზე ადგილის დამკვიდრება ზემოთ აღნიშნული მოვლენის გამო.

იმისათვის, რომ ადვილად მოხდეს დაბრუნებული ემიგრანტების ინტეგრირება, საჭიროა სახელმწიფოს დახმარება, როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური თვალსაზრისით.

სრულიად ვიზიარებ მოსაზრებას, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესუსტება ასევე შეიძლება გამოიწვიოს მაღალი ინტელექტის მქონე ადამიანური რესურსების გადინებამ, რის ფონზეც ქვეყანაში რჩება დაბალი კვალიფიკაციის მუშახელი. ხოლო როცა ხდება დაბალი კვალიფიკაციის მუშახელის გადინება ეს ქვეყნის ეკონომიკისთვის დიდი ზიანის მომტანი არ არის. თუმცა არაკვალიფიკაციური კადრის დადებითი შედეგები ქვეყნის ეკონომიკაზე შეიძლება გამოვლინდეს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. რადგან მათ ემიგრაციაში ყოფნის დროს შედარებით აიმაღლეს კვალიფიკაცია, შეიძინეს გამოცდილება და უნარი მისი გამოყენების.

იმ ქვეყნებში სადაც მაღალია იმიგრაციის დონე მკვეთრად არის გამოხატული მათი გავლენა სოციალურ-ეკონომიკურ ზრდაზე. იმიგრანტთა გავლენა ეკონომიკაზე შესაძლებელია იყოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი. იმიგრაციის დროს იზრდება მოსახლეობის რაოდენობა, რითაც იცვლება ბუნებრივი რესურსებიც, რომელიც არის ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი.

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით ევროპის მოსახლეობა 1995 - 2000წწ-ში შემცირდებოდა 4, 4 მილიონით (1-2%). ამ პერიოდში იქ 5 მილიონი მიგრანტი რომ არ ჩასულიყო (გაეროს პოპულაციის განყოფილება 2006წ). განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ევროკავშირის მოსახლეობის დაბერების საკითხს. 2006 წლიდან 2050 წლამდე ევროკავშირის 60 წლის ასაკის ზემოთ მყოფ მოქალაქეთა რიცხვი 52%-ით გაიზრდება''[ლეგალური მიგრაციის შესახებ ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობათა შედარებითი ანალიზი; 2008, გვ.28].

იმიგრაცია განვითარებული ქვეყნების ძირითადი მექნიზმია, რისი საშუალებითაც შესაძლებელია ახალგაზრდა სამუშაო ძალის რაოდენობის ზრდა და ეკონომიკურ პროცესებთან ბრძოლა. [D.Coleman; 2008. გვ.453-477].

უნდა აღინიშნოს ქვეყნის განვითარებაში დიასპორის როლი. „სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ 4 მთავარ მექანიზმს, რომელთა საშუალებით დიასპორას შეუძლია დადებითი როლის შესრულება ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში. ეს მექანიზმებია: 1. ტურიზმი 2. ტრანსპორტი 3. ტელეკომუნიკაცია 4. ვაჭრობა.''[ა. გუგუშვილი, 2017. გვ. 311].

დიასპორის გავლენა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე შესაძლებელია იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი. ისინი მონაწილეობენ როგორც შუამავლები ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს შორის, ხელს უწყობენ სოციალურ კავშირებს, გადასცემენ ცოდნას ბიზნესის მართვის, მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარების შესახებ. ასევე დიდია მათი გავლენა საინვესტიციო დასაქმების, ინფრასტრუქტურულ ცვლილებებზე.

ადამიანური რესურსების მიგრაციის დადებითი სოციალურ-ეკონომიკური გავლენა ექპორტიორ ქვეყნებზეც დგინდება. რაც გამოიხატება იმით რომ, ადამიანების ნაწილის გადინებით შრომის ეროვნული ბაზარი მდგრადი ხდება. ამავე დროს ქვეყნის ღარიბი მოსახლეობის შემოსავლები შედარებით იზრდება.

ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციული პროცესების ზრდა ერთმნიშვნელოვნად კავშირში არის ქვეყნის სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სისუსტესთან. იგი ვერ უზრუნველყოფს ადამიანების დაცვას სიღარიბის,

ჯანმრთელობის პრობლემების, უმუშევრობის დროს. კ. ბლუმესა და ვერნერის კვლევის მიხედვით „1999 წელს, დანიაში იმიგრანტების მიერ აღებული სოციალური დახმარება შეადგენდა 18%-ს, ამ დროს ისინი მთლიანი მაცხოვრებლების 3%-ს წარმოადგენდნენ.'' [K.Blume; M. Verner, 2007. გვ.453-471].

როგორც უკვე ავღნიშნეთ სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების განხილვისას მნიშვნელობა აქვს ფულად გზავნილებს. ამისი ნათელი დადასტურებაა ასევე ის რომ ემიგრანტების ოჯახების უმრავლესობა მიღებულ შემოსავლებს აბანდებენ უძრავ ქონებაში. ყიდულობენ ბინებს, მიწის ნაკვეთებს რითაც იუმჯობესებენ ეკონომიკურ მდგომარეობას. ემიგრანტთა უმრავლესობა ზოგადად ცდილობს ფულის დაბანდებას იქ სადაც, ეკნომიკური რისკები მცირეა, თუმცა ქვეყანაში დაბრუნებულ მიგრანტთა ერთი ნაწილი მაინც აბანდებს ფინანსებს მცირე ბიზნესში. ხსნიან მაღაზიებს, სახელოსნოებსა და რესტორნებს, რომელიც არ მოითხოვს დიდ ხარჯს და ამუშავებაც ხელმისაწვდომია. ფინანსების დაბანდებაში და სწორ განხორციელებაში ასევე დიდი ადგილი უკავია ბავშვთა განათლების ხარჯებს. ყოველივე ეს კი ერთობლიობაში იწვევს ეკონომიკისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ყოველივეს გათვალისწინებით შესაძლებელია გამოვყოთ მიგრაციაში მონაწილე სახელმწიფოებისთვის დადებითი სოციალურ-ეკონომიკური გავლენის პირდაპირი მომენტები: მიგრანტების პირადი კაპიტალი, გადასახადები საშუამავლო ფირმების მოგებიდან, ფულადი გადარიცხვები, ქვეყანაში ნაკლები სოციალური პრობლემების არსებობა, დაბერების პროცესის რეგულირება, ემიგრანტების ცოდნის ზრდა და განვითარება.

ამდენად, ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები მრავალფეროვანია როგორც იმპორტიორი, ისე ექსპორტიორი ქვეყნისთვის. ყოველივე ეს დამოკიდებულია სახელმწიფოს სოციალური და დემოგრაფიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და სხვა მდგომარეობაზე.

თავი 3. ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის გამოწვევები საქართველოში

მნიშვნელოვანი სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, საქართველოში მიგრაციული გამოწვევები უძველესი დროიდან აღინიშნებოდა. მიგრაციული პროცესები საუკუნის განმავლობაში ქვეყნის ისტორიასთან ერთად ყალიბდებოდა და გავლენას ახდენდა სახელმწიფოს ბედზე.

თუ გადავხედავთ ისტორიას და იქ მიმდინარე მიგრაციულ პროცესებს, ვნახავთ რომ უამრავი ადამიანი იძულებით იყო ემიგრაციაში პოლიტიკური რეპრესიების გამო. ისტორიკოსი რ. გაჩეჩილაძის მიხედვით „პოლიტიკური რეპრესიებისდა გამო საქართველოდან 120-ზე მეტი ქართველი იძულებით იქნა გადასახლებული.''[რ. გაჩეჩილაძე,1997.გვ.13].

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომვინაიდან საბჭოთა კავშირში საზღვრები ჩაკეტილი იყო ადამიანური რესურსების მიგრაცია თითქმის სრულად შეჩერებული იყო. შესამჩნევად გაიზარდა ემიგრანტთა რაოდენობა საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ.

მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო ჩვენი ქართველი თანამემამულენი იძულებულნი იყვნენ ემიგრაციაში წასულიყვნენ, რაც შემოიფარგლებოდა მათი გადინებით თავდაპირველად რუსეთში, შემდეგ კი ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში. ა.მანსორის მონაცემების მიხედვით „გარე ინტენსიური მიგრაციის მიხედვით საქართველოს მეორე ადგილი ეკავა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ყაზახეთის შემდეგ.''[A. Mansoor;B. Quillin,2006.გვ.33].

ეკონომიკური გაჭირვების პირობებში ადამიანური რესურსების მიგრაცია საქართველოში ძირითადად „გადარჩენის გეგმას'' წარმოადგენდა. ჩვენს ქვეყანაშიმაცხოვრებელი ოჯახების 6–10%-ს ერთი წევრი მაინც ჰყავდა ემიგრაციაში.[CRRC,Migration and return in Georgia. გვ.7].

ჩვენს სამშობლოში მიმდინარე მიგრაციული პროცესების ძირითადი საფუძველი არის არამდგრადი ეკონომიკა, უმუშევრობა, დაბალი ანაზღაურება,

სოციალური სისტემის გაუმართაობა. არსებული მიგრაციული პროცესების კვლევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც სოციალური, ეკონომიკური ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.

მას შემდეგ, რაც საქართველო გამოეყო საბჭოთა კავშირს ქართველების ემიგრაციამ უფრო აქტიური და ფართომასშტაბიანი სახე მიიღო, რამაც თანდათანობით ხელი შეუწყო საქართველოს სატრანზიტო ქვეყნად ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, მიგრაციული პროცესები, ისე როგორც სხვა ქვეყნებში საქართველოშიც გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. იგი ხელს უწყობს ვაჭრობისა და ბიზნესის განვითარებას.

ისიც უნდა აღინიშნოს რომ, საქართველოში დღესდღეისობით არ ხდება მიგრაციული პროცესების ზუსტი და სისტემური აღრიცხვა. ამის ახსნა შესაძლებელია იმით რომ,მიგრაციაში მყოფი ადამიანური რესურსების სხვადასხვა რაოდენობის ინფორმაცია საქართველოში არსებული მიგრაციული პროცესების და ოდენობის თაობაზე შესაძლებელია მივიღოთ მოსახლეობის აღწერით. სხვადასხვა ვარაუდების მიუხედავად ფაქტია, რომ მიგრაცია საქართველოში მნიშვნელოვანი სოციალური ასპექტია და საჭიროებს უფრო მკაცრ აღრიცხვას.

ეკონომისტ გ.მელაძის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით „საქართველოში იმიგრანტებსა და ემიგრანტებს შორის სხვაობამ მიაღწია 673 ათასს ადამიანს. ხოლო 60-იანი წლების შემდეგ 2004 წელს საქართველოში შემოსულთა რაოდენობამ გარკვეულ ზღვარს მიაღწია, რომელიც შადგენდა 5,5 ათასს. თუმცა სტატისტიკური მონაცემები 2 წლის შემდეგ საგრძნობლად შიცვალა 2006-2008 წწ-ში. ხოლო დღევანდლამდე საქართველოს მოსახლეობის ემიგრანტთა რაოდენობა 1,1-1,3 მილიონს შორისაა.”[გ.მელაძე. 2013. გვ.165].

გასათვალისწინებელია ისიც, რომ არამდგრადი ეკონომიკური პირობების ფონზე მოსახლეობა ცდილობს სხვა ქვეყნებში გაიუმჯობესოს ცხოვრების დონე. ძირითადად ქვეყნიდან გადინება ხდება ეკონომიკური თვალსაზრისით, მაგრამ გვხვდება ასევე სწავლის, ქორწინების გამო წასვლაც, რაც შესაძლებელია გახდეს მათი უცხო ქვეყნაში მუდმივად დარჩენის მიზეზი. შესაბამისად გაზრდილი მიგრაციული პროცესები მოიცავს სხვადსხვა ქვეყნებს.

არასრული მონაცემების გამო ძნელია ზუსტად თქმა ძირითადად რომელ ქვეყანაში ხდება მიგრაცია, მაგრამ მოსახლეობის აღწერის და სხვადასხვა წყაროების გაანალიზებით შესაძლებელია მეტ-ნაკლები წარმოდგენის შექმნა.

საქსტატი ყოველწლიურად აქვეყნებს იმიგრანტთა და ემიგრანტთა სტატისტიკურ მონაცემებს, რომელიც ყოველწლიურად არის ცვალებადი, რაც შესაძლებელია განპირობებული იყოს მომწოდებელი ორგანიზაციის ან მეთოდის ცვლილებით. უკანასკნელი წლის მონაცემების გაანალიზების შედეგად, ნათლად შეგვიძლია დავინახოთ,რომ 2018 წელს საქართველოში იმიგრანტთა რაოდენობა შეადგენდა 47883 ათასს კაცს, ემიგრანტების რიცხვი 76367 ათასს აღწევდა ეს მაშინ, როდესაც მეზობელი ქვეყნის გამსვლელთა და შემომსვლელთა რაოდენობა ჩამოუვარდება საქართველოს.

გრაფიკი 3.1

იმიგრანტების და ემიგრანტების განაწილება მოქალაქეობის მიხედვით,2018წ



წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia

გრაფიკი 3.2



წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia

გრაფიკი 3.3

იმიგრანტებისა და ემიგრანტების ასაკის მიხედვით განაწილება, 2018წ



წყარო:საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებით შეიძლება გავაანალიზოთ, რომ გასულ წელს ჭარბობდა 15-სა და 64-ს შორის ემიგრანტთა და იმიგრანტთა რაოდენობა. 2018 წელს მათი, ემიგრანტების რაოდენობა (85652 ათასი) აღემატებოდა იმიგრანტებს (74526 ათასი). ხოლო 65 წელს გადაცილებული ემიგრანტების რაოდენობა შეადგენდა 3403 ათას ადამიანს, რაც არც თუ დადებითი მოვლენაა ქვეყნის განვითარებისთვის, რადგან ახალგაზრდების უმეტესობა ტოვებს მშობლიურ ქვეყანას და მიდის უკეთესი პირობების შესაქმნელად საზღვარგარეთ.

სოცილოგ გ. წულაძის პროგნოზის მიხედვით „გარე მიგრაციის სალდო 2000-დან 2050 წლამდე უარყოფითია, თუმცა 2005 წლიდან შეიმჩნევა საკმაო განსხვავებები ცალკეული პერიოდისთვის კერძოდ, გარე მიგრაციის სალდო 2015-2035 წლებში უფრო მაღალია 2010 წლის გადასინჯვის მონაცემებით, ხოლო 2035-2050 წლებში იგივე გადასინჯვით უფრო ნაკლები 2008 წლის გადასინჯვასთან შედარებით.''[გ. წულაძე.2013.გვ.13].

უნდა გავითვალისწინოთ რომ, საქართველოში არ არის მიგრაციული პოლიტიკა, მისი დიდი მნიშვნელობის მიუხედავად. ვინაიდან მიგრაციისძირითადი განმაპირობებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მნიშვნელოვანი ხდება ქვეყანაში არსებული სოციალური, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციონირება.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობ რომ საჭიროა ახალი, სრულფასოვანი გეგმების ჩამოყალიბება, სამუშაო ადგილების და ფინანსური ზრდისთვის.

მაშასადამე, ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში მიმდინარე მწვავე პროცესებს აძლიერებს სახელმწიფოში არსებული ცვლილებების ფონზე მუშახელის გამოთავისუფლება, მეცნიერული წარმატებების ხარჯზე ხდება არაეფექტური, განვითარებას მოკლებული წარმოების გაუქმება, რაც იწვევს უმუშევართა რიცხვის გაზრდას, რომლებიც ასეთი პირობების გამო ცდილობენ დატოვონ ქვეყანა. მიუხედავად იმისა რომ, საქართველოს შრომითი ბაზარი ადამიანური რესურსების მიგრაციის გამო კარგავს ძირითად მშრომელ ძალას, პარალელურად მკვეთრად მცირდება უმუშევართა რიცხვი საკუთრივ ბაზარზე, რაც მეტ-ნაკლებად

ათანაბრებს მიწოდებასა და მოთხოვნას ქვეყნებს შორის ურთიერთობისას. მეორე მხრივ, ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი ფულადი გზავნილები გარკვეულ როლს ასრულებს ემიგრანტებისსოციალური სტატუსის და ასევე საქართველოს ეკონომიკის ზრდაში. შრომით ბაზარზე არსებული პრობლემების, უმუშევრობის, დაბალი ხელფასის გამო ბოლო წლებში გაძლიერდა მიგრაცია საქართველოში.

ადამიანთა საქმიანობისთვის დამახასიათებელია ეგრეთ წოდებული გარე ეფექტები. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ჩვენს სამშობლოში შემოსული ფულადი გზავნილები მიგრანტთა მიერ, მას დამატებული ფინანსური ინსტიტუტები, კრედიტები, გაწეული დახმარებები, რომელთაც საქართველოს ეკონომიკისთვის დიდი დადებითი დატვირთვა აქვს. შრომის ბაზარზე ემიგრატთა არაპირდაპირი დადებითი გავლენის გარდა ვითარდება უარყოფითი გარე ეფექტები, რაც ვლინდება შემდეგნაირად: საქართველოს ეკონომიკა გადაქცეულია შემოსავალზე ორიენტირებულად, ნაცვლად წარმოებაზე ორიენტირებულისა, ხოლო საზოგადოება მხოლოდ მომხმარებლად. ყოველივე ეს აჩენს კითხვას რამდენად ხელსაყრელია საქართველოს ეკონომიკისთვის ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაცია.

ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც მნიშვნელოვანია ფულადი გზავნილები.

საქართველოს ეროვნული ბანკის და მსოფლიო ბანკში არსებული მონაცემებით შესაძლებელია ჩვენს მიერ შეფასებულ იქნას საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების სრული რაოდენობა. ასევე შესაძლებელია გავაანალიზოთ წინა წლებში ფულის შემოდინება.„აბსოლუტურ მაჩვენებლებში საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობა 1995-2011 წლებში 46,8 მილიონი დოლარიდან 1,377,9 მილიონ დოლარამდე გაიზარდა. გზავნილების ზრდა განსაკუთრებით 2004 წელს შეინიშნებოდა, ახალი მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებამდე თავის მხრივ, საქართველოდან გადინებული კაპიტალი ფულადი გზავნილების საერთო რაოდენობამ 2014 წელს მხოლოდ 136 მილიონი დოლარი შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ ფულადი გზავნილების მოცულობა 2000-იანი

წლების დასაწყისიდან მატულობდა, იზრდებოდა საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტების მოცულობაც, რაც იმას ნიშნავს, რომ ფულადი გზავნილების წილი, ქვეყანაში წარმოებული მთლიანი პროდუქციასთან მიმართებით, მუდმივად 5-7%-ის დონეზე მერყეობდა.''[მიგრაციის სახელმღვანელო;2017.გვ.299-300].

ჩვენს მიერ განხილული საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით, შესაძლებელია წარმოვიდგინოთ მოცემულობა იმისა თუ რა რაოდენობის ფულადი გზავნილები შემოედინება მიგრაციაში მონაწილე ქვეყნებიდან.

ცხრილი 3.4

ფულადი გზავნილები საქართველოში 2016-2018 ქვეყნებისმიხედვით(აშშ დოლარი)

ქვეყანა	2016	2017	2018
რუსეთი	41,569.2	45.290.9	43,785.8
იტალია	12,798.5	15,823,1	19,993.2
საბერძნეთი	11,915.2	15,223,8	17,073.4
აშშ	14,102.2	13,182,4	15,096.2
ისრაელი	7,130.7	12,428,1	12,985.9
თურქეთი	15,968.063	10,009,5	7,782.3

წყარო: საქართველოს ეროვნული ბაკი

ამ ცხრილის მიხედვით შეგვიძლია გავაკეთოთ ანალიზი, ფულადი გზავნილების ზრდა არის გამოხატული თუ კლება წლების მიხედვით.

მონაცემები გვიჩვენებს, რომ 2017 წელს რუსეთიდან შემოსული თანხები (45,290.9$) აღემატებოდა 2016 წელს შემოსულ თანხებს. თუმცა შემცირების ტენდენცია გამოხატულია უკვე 2018 წელს. 2017 წელთან შედარებით თითქმის ანალოგიური სიტუაციაა თურქეთიდან შემოსულ ფულად გზავნილებზე, უფრო მეტიც თურქეთიდან შემოსული თანხები მკვეთრად იკლებს 2018 წელს. რაც

შეეხება სხვა ქვეყნებს კერძოდ, იტალიას, საბერძნეთს, ამერიკას მათ შორის ლიდერობს იტალია. თუმცა უნდა აღინიშნოს ასევე ისრაელიდან გამოგზავნილი ფულადი გზავნილების მკვეთრი ზრდის ტენდენცია 2018 წლისთვის, რამაც 2016 წელთან შედარებით თითქმის 2 ჯერ მოიმატა.

თუ არსებული მონაცემების ღრმა ანალიზს გავაკეთებთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ რუსეთიდან 2017 წელს შემოსული გაზრდილი გზავნილები განპირობებულია ბოლო წლებში მოსახლეობის რუსეთში გადინების ხელმისაწვდომობის გაზრდით, რამაც შესაბამისად გაზარდა მიგრანტთა რაოდენობაც და ფულადი გზავნილებიც. ხოლო თურქეთიდან გზავნილების თანდათანობით კლების ტენდენცია განპირობებული უნდა იყოს თურქეთის ეროვნული ვალუტის, ლირის, გაუფასურებით. იქ არსებულმა ინფლაციურმა პროცესებმა შეამცირა შრომის ანაზღაურება, რის გამოც ემიგრანტები თავს არიდებენ თურქეთში წასვლასა და მუშაობას.

საკვლევი თემის დამუშავების დროს მნიშვნელოვნად ჩავთვალე ყურადღება გამემახვილებინა ასევე ფულადი გზავნილების ჩარიცხვასა და გადარიცხვების გადანაწილებაზე თვეების მიხედვით, რაც უფრო ნათელს ხდის გზავილების გავლენას ეკონომიკაზე.

ცხრილი 3.5

ფულადი ჩარიცხვები საქართველოში თვეების მიხედვით 2016-2018

თვე	2016	2017	2018
იანვარი	66,572.0	85,630.0	110,091.0
თებერვალი	79,860.0	94,732.0	113,843.0
მარტი	90,725.0	112,703.0	132,484.0
აპრილი	94,774.0	106,333.0	124,566.0
მაისი	92,895.0	115,912.0	130,416.0
ივნისი	100,508.0	118,060.0	135,107.0
ივლისი	100,735.0	121,351.0	144,392.0

აგვისტო	105,844.0	122,012.0	135,767.0
სექტემბერი	100,645.0	124,970.0	131,455.0
ოქტომბერი	102,922.0	123,436.0	137,380.0
ნოემბერი	98,327.0	122,611.0	133,279.0
დეკემბერი	119,585.0	139,500.0	150,887.0
სულ	1153,392.0	1387,250.0	1573,6670.0

წყარო:საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გადარიცხვები საქართველოში თვეების მიხედვით

ცხრილი. 3.6

თვე	2016	2017	2018
იანვარი	11,886.0	13,481.0	15,011.0
თებერვალი	15,689.0	14,595.0	17,989.0
მარტი	16,586.0	16,873.0	21,015.0
აპრილი	16,327.0	15,558.0	18,538.0
მაისი	15,787.0	18,206.0	19,681.0
ივნისი	16,244.0	17,841.0	17,853.0
ივლისი	15,758.0	15,920.0	18,938.0
აგვისტო	17,360.0	19,554.0	18,940.0
სექტემბერი	15,336.0	19,107.0	19,218.0
ოქტომბერი	17,818.0	18,680.0	21,202.0
ნოემბერი	17,092.0	19,897.0	19,687.0
დეკემბერი	18,255.0	20,177.0	21,674.0
სულ	194,138.0	209,889.0	229,746.0

წყარო:საქართველოს ეროვნული ბანკი

ჩემი ანალიზის საფუძველზე და მონაცემებზე დაყრდნობით ზრდის ტენდენცია შეინიშნება იანვრიდან-დეკემბრამდე, როგორც ჩარიცხვების ისე გადარიცხვების მხრივ. მაგალითისთვის: 2016 წლის იანვარში ჩარიცხვები შეადგენდა 66,571.0 ათას ამერიკულ დოლარს, 2018 წლის იანვარში კი 110,031 ათას დოლარს. ხოლო დეკემბერისთვის ზრდა გამოვლინდა შემდეგნაირად 2016 წლის დეკემბერი - 119,585 ამერიკული დოლარი და 2018 წლის- 150,887 ათასი დოლარი.

ამგვარად, მოცემული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ნათლად ჩანს სხვაობა გადარიცხვებსა და ჩარიცხვებს შორის.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან მსოფლიოში მიმდინარეობს ტექნოლოგიური ძვრები, ფულადი გზავნილების შემოდინება ხდება ასევე ელექტრონული ფორმითაც, თუმცა ოფიციალური სტატისტიკა სრულად მაინც ვერ ასახავს შემოსულ ფულად გზავნილებს, სხვადასხვა მიზეზების გამო.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მნიშვნელოვანია ასევე უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში, რომელიც საქსტატის მონაცემების ანალიზით შესაძლებელია ასე გამოისახოს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2017-2018.წწ გრაფიკი 3.7



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2017 წლის IV კვარტლის უცხოური ინვესტიცია შეადგენდა 522,2 მილიონ ამერიკულ დოლარს, ხოლო 2018 წლის IV კვარტალში მნიშვნელოვნად შემცირდა და შეადგინა 197,1 ამერიკული დოლარი. ეს ცვლილება შესაძლებელია უკავშირდებოდეს მაგისტრალურ გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულებას.

ასევე საქსტატის წინასწარი მონაცემების გაანალიზებით შესაძლებელია გამოიყოს სამი ეკონომიკური სექტორი სადაც მოხდა ძირითადად უცხოური ინვესტიციების შემოდინება. ეს არის კომუნალური, პერსონალური, სოციალური (139,8 მილიონი დოლარი), საფინანსო (42,7 მილიონი დოლარი) და ტრანსპორტის (28,6 მილიონ დოლარი) სექტორი.

ვინაიდან ჩემს მიერ გამოყენებული მონაცემები დაფუძნებულია სხვადსხვა მეცნიერების მიერ ჩატარებულ კვლევებზე და შესაბამისად შესაძლებელია ავღნიშნოთ, რომ მიგრაციული პროცესები ქვეყნის განვითარებაზე ვლინდება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ცვლილებით. ყოველივე ეს მოითხოვს მუდმივ ტექნოლოგიურ ცვლილებებს, რათა არ შეფერხდეს მიგრაციული პროცესების დადებითი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე.

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ ფულადი გზავნილების შემოდინების სახეც შეიცვალა ელექტრონული ფორმით. თუმცა ისიც აღსანიშნავია რომ, სტატისტიკურად ზუსტად ვერ ხდება აღწერა ფულადი გზავნილების, ვინაიდან, სხვადასხვა მიზეზის გამო, იმიგრანტებს ურჩევნიათ ფული ნაცნობების საშუალებით მიიტანონ დანიშნულების ადგილამდე.

ფულადი გზავნილების მიმღებთა შეფასებით საქართველოში, შეიძლება დავასკვნათ რომ, ისინი ძირითადად განკუთვნილია მათთვის ვისთვისაც სოციალური დახმარება არაა ხელმისაწვდომი. ფულადი გზავნილების დიდი ნაწილი ხმარდება ჯანდაცვას და სწავლას, რისი შედეგიც გამოვლინდება განათლებული და ჯანმრთელი საზოგადოებით.ცნობილია რომ, საქართველოდან ადამიანები მიგრაციაში ძირითადად მიდიან ტურისტული ვიზით, ხოლო შემდეგ რჩებიან არალეგალურად. უკანონოდ დარჩენილი ემიგრანტები წლობით ვერ ახერხებენ სამშობლოში დაბრუნებასა და დეპორტაციის მოლოდინის შიშით უწევთ

ყოფნა. მათი ცხოვრება საკმაოდ დაძაბულია. ქართველების ემიგრაციაში წასვლა ხდება ვალებით, შემდეგ კი გარკვეული წლები მათი გადახდისთვის მუშაობენ. ამას განაპირობებს ის, რომ ისინი დახმარებას სთხოვენ არაკანონიერ საშუამავლო ფირმებსა და მათი დახმარებით ცდილობენ ემიგრაციაში წასვლას.

ბოლო წლებში დიდი ყურადღება ექცევა მიგრაციის შერჩევით ხასიათს, რაც დაკავშირებულია ქვეყნების მიგრაციულ პოლიტიკასთან. ეს ყოველივე ზღუდავს თავისუფალ მიგრაციას და მკვეთრად ზრდის ქვეყნიდან კვალიფიციური, შრომისუნარიანი ადამიანების გადინებას, ამიტომ დაბერების პროცესის შესაჩერებლად საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული მიდგომა.

უცხო ქვეყნები ძირითადად ინტერესდება ინტელექტუალი და განათლებული ადამიანებით. საქართველოში, ჩვენი მოსახლეობის დიდ ნაწილს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, მაგრამ მათი კვალიფიკაციის დონე ვერ უწევს კონკურენციას უცხოეთში მიღებულ განათლებასა და შესაბამისად უწევთ დაბალანაზღაურებად სამუშაოზე დათანხმება. ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, დიდია დიასპორის როლი სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით. საქართველო აქტიურად მონაწილეობს გრძელვადიანი კავშირების დამყარებაზე დიასპორასთან, ეს გამოიხატება ორმაგი მოქალაქეობის შემოღებით.

ასევე არ უნდა გამოგვრჩეს, რომ მასობრივი მიგრაციის პირობებში ქვეყნიდან გასული მაღალი ინტელექტისა და კვალიფიციური კადრის მოზიდვის კარგი საშუალება ორმაგი მოქალაქეობაა, რომელიც შესაძლებლობას აძლევთ ემიგრანტებს მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ასევე მნიშვნელოვან თემად განიხილება უცხოელებზე მიწების გაყიდვა.

ვვარაუდობ რომ, ვინაიდან სოფლის მეურნეობის სფერო ვერ არეგულირებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნებს და ხდება სხვა ქვეყნიდან შემოტანა პროდუქციის, უცხო ქვეყნის მოქალაქეზე მიწის გაყიდვა მეტ-ნაკლებად მოხსნის პრობლემას და შეუწყობს ხელს ეკონომიკის ზრდას.

ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს უცხოური ინვესტიციების შემოდინება ქვეყანაში, რომლის რაოდენობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა

სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა. უცხოური ინვესტიციების შემოდინებისა და დამკვიდრების დადებით შედეგად შეიძლება განვიხილოთ მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა, თუმცა შესაძლებელია უარყოფითი გავლენაც გამოიკვეთოს, რაც გამოიხატება ქვეყნის შიდა ინვესტიციის დაფარვით, ვალუტის კურსის ცვლილებით.

ჩემი აზრით, როდესაც ქვეყანაში ხდება უცხოური ინვესტიციის შემოდინება ყურადღება უნდა მიექცეს ხდება თუ არა ინვესტიციების მთლიანი მოცულობის ზრდა, რამდენად ინერგება ტექნოლოგიები, არის თუ არა პირობები ბიზნესის განვითარებისთვის. ამ ყოველივეს ფონზე რამდენად ვლინდება მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. თუ არ ხდება ამ ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის განხორციელება, მაშინ უნდა გადაიხედოს რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი ინვესტიცია ქვეყნისთვის.

როგორც ავღნიშნე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება უკანასკნელ წლებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის რომ მთლიანი ძალისხმევა გამოყენებული ყოფილიყო ფინანსური დანაზოგების და მიგრანტთა კაპიტალის სრულ მობილიზებაზე.

საქართველოში მიგრაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ქართველ ქალთა მიგრაცია. წლების განმავლობაში თუ ემიგრანტებად მხოლოდ კაცები მოიაზრებოდნენ ბოლო წლების მონაცემებით, განსაკუთრებით გააქტიურდა ქალთა მიგრაცია. სხვადასხვა ქვეყნის მიგრაციული პოლიტიკა განსაზღვრავს იმ ქვეყნის დამოკიდებულებას ემიგრანტი ქალების და კაცების მიმართ. ზოგიერთ ქვეყნებში საქართველოდან ძირითადად გაედინებიან ქალი ემიგრანტები. მათი დასაქმება დამოკიდებულია მიმღები ქვეყნის პრინციპებზე. მეტი აქცენტი კეთდება საშუალო ასაკის, მაღალი ინტელექტის მქონე ემიგრანტი ქალების მიღებასა და დასაქმებაზე, არასრული განათლების მქონე ქალებთან შედარებით.

ჩემს მიერ განხორციელებული დაკვირვების მიხედვით, საქართველოში დარჩენილი ოჯახების უმეტესობა დამოკიდებულია მდედრობითი სქესის მიერ გამოგზავნილ ფინანსებზე და რითიც მამაკაცები იუმჯობესებენ ეკონომიკურ

მდგომარეობას. თუმცა უნდა აღინიშნოს ქალთა მიგრაციის უარყოფითი გავლენაც. პრაქტიკულად, ბავშვები მოკლებულნი არიან დედის სითბოს და ყურადღებას, რაც მათ ფსიქოლოგიურ განვითარებაზე შესაძლებელია უარყოფითად აისახოს.

ქალთა მიგრაციის გაზრდამ, საქართველოში გამოიწვია აუცილებლობა ქალთა მიგრაციის საკითხის უფრო ღრმად შესწავლის. წინა ადგილზე წამოვიდა ტრეფიკინგის თემა, ვინაიდან ტრეფიკინგის მსხვერპლნი ძირითადად ქალები არიან, ასევე უდედოდ დარჩენილი ბავშვების ფსიქოლოგიური მდგომარეობის და დატოვებული მოხუცების ყოფის გარკვევა.ასევე მნიშვნელოვანია და ყურადღება გასამახვილებელი მიგრანტი ქალების სამშობლოში დაბრუნება და მათი შემდგომი ჩართულობა შრომის ბაზარზე. შეიძლება დაბრუნება მოხდეს სხვადასხვა მიზეზით: ასაკის, წარუმატებლობის, უკვე შესრულებული მოვალეობის, ოჯახისა და მშობლების მონატრების და ასევე გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო ავადმყოფობის, გარდაცვალება ოჯახის წევრების.

ჩამოთვლილიდან ნებისმიერი მიზეზის შემთხვევაში გარდა გაუთვალისწინებელი დაბრუნებისა, შეიძლება დავასკვნათ, რომ უცხო ქვეყნაში ყოფნისას მიღებული გამოცდილება, უნარ-ჩვევები, საკუთარი შემოსავლები განაპირობებს მათ წარმატებულ ადგილს შრომის ბაზარზე.

მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოში ტარდება სხვადასხვა ეკონომიკური რეფორმები, რომლის მთავარი ამოცანაა ეკონომიკური, პოლიტიკური ურთიერთობები და კავშირები. ისეთ სახელმწიფოებთან როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთ ევროპა, ეს უფრო დადებით ასახვას ჰპოვებს როგორც ემიგრანტებისა და მათი ოჯახების ბიუჯეტზე, ისე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მსოფლიო სხვადასხვა მეთოდებს და მიდგომებს მოიხმარს მიგრაციის გამოწვევების აღმოფხვრისთვის, მათ შორის საქართველოც.

ჩვენი ქვეყნის ძირითადი ამოცანაა რეგულირება მიგრაციული პროცესების, მაგრამ განსხვავება გამოიხატება იმ გეგმაში რისი განხორციელებაც სურს ქვეყანას. ამ მიზნის განვითარებასა და შესრულებას განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-

ეკონომიკური მდგომრეობა, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა და ქვეყანაში განვითარებული პროცესები.

ამგვარად, დღევანდელი რეალობიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის გამოწვევები საქართველოსთვის არის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საჭიროებს ღრმა ანალიზს და მის შესაბამის მიგრაციული პოლიტიკის განხორციელებას.

საქართველოს მთავრობა ძალისხმევას არ იშურებს იმისათვის, რომ ქვეყანაში იყოს მყარი ეკონომიკა, გაუმჯობესდეს ტურისტული და ტექნიკური სტრუქტურები და მოიზიდოს მეტი ინვესტიციები. ამ პროცესებს ყურადღება უნდა მიექცეს, რათა მოხდეს მიგრაციის გამოყენება სოციალურ-ეკონომიკური პროცესების წარმატებული წინსვლისთვის. ამავე დროს მოხდება არალეგალური მიგრაციის უარყოფითი შედეგების შემცირება. ადამიანური რესურსების მიგრაციაში ჩართული ქვეყნებისთვის საჭიროა მოხდეს გათვალისწინება მუშახელის საჭირო რაოდენობის და დადგინდეს შეზღუდვები. სხვა მდგომარეობაში ვერც საქართველო და ვერც სხვა ქვეყნები ვერ დაარეგულირებენ პროცესებს და ვერ დაიცავენ მუშახელს. ეს პრობლემაც მიგრაციის გამოწვევათა რიცხვს მიეკუთვნება საქართველოსთვის.

ამ ყოველივეს განსახორციელებლად საჭიროა გათვალისწინებული იყოს როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო ქვეყნებისა და საზოგადოების ინტერესი.

მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა განვიხილოთ მიგრაცია და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ნორმები. უსაფრთხოებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ემიგრანტებისთვის, ისე მიგრანტებისთვის. ადამიანური რესურსების უსაფრთხოების დაცვა არის პრიორიტეტული გამოწვევა საქართველოსთვის.

უკანონო მიგრაციის თვალსაზრისით არსებული გამოწვევების აღმოფხვრისათვის მნიშვნელოვანია სასაზღვრო კონტროლის განვითარების ხელშეწყობა, რასაც ბოლო წლებში დიდი ყურადღება ექცევა. განახლდა სასაზღვრო პუნქტების ტექნიკური ბაზა, იხვეწება ყალბი დოკუმენტების გამოვლენის

საშუალებები. მოქმედებს ასევე უკანონოდ შემოსული ემიგრანტების დროებითი განთავსების ცენტრები. მიგრაციულ პოლიტიკაში საქართველოს ჩართულობის მანიშნებელია ისიც, რომ გაზრდილია საქართველოში ცხოვრების მსურველთა რაოდენობა, უცხოელებისთვის შრომის ბაზარზე წვდომა გათანაბრებულია ადგილობრივი მცხოვრებლების პირობებთან. ადამიანური რესურსების მიგრაციის ზრდაზე მიუთითებს ასევე უცხოელი სტუდენტების და მოსწავლეების რაოდენობა, რაც ცალსახად მანიშნებელია უსაფრთხოების მაღალი ალბათობის. წლების განმავლობაში აუცილებლად შეიცვლება საქართველოს სოციალური და ეკონომიკური მდომარეობა. როგორც მიგრაციის, ისე ემიგრაციის დროს პრიორიტეტი ენიჭება ეკონომიკის, ჯანდაცვის და განათლების სფეროს.

სამწუხაროდ, იმიგრაციის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე არ არის შესწავლილი სრულად, შესაბამისად ვერ ხერხდება ეკონომიკური შედეგების ზუსტი განსაზღვრა. თავდაპირველად თუ მიგრაციაში წასული მოსახლეობა ძირითადად რჩებოდა უცხო ქვეყანაში საცხოვრებლად, ბოლო წლებში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა და ხდება მუდმივი ნაკადის ცვლა. ჩამოსულ ემიგრანტებს ენაცვლება სხვა, ახალი ემიგრანტთა ნაკადი, რომელიც ასევე რამოდენიმე წლით მუშაობს არალეგალურად. ამის მიუხედავად, ყურადღება უნდა მიექცეს იმას რომ, ძირითადი ნაწილი იხარჯება აუცილებელი პირობების გაუმჯობესებაზე, ხოლო მცირე ნაწილი ხმარდება უძრავი ქონების შეძენას და მცირე ბიზნესის წარმოებას. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია ემიგრანტების, მათი ოჯახების განათლების ამაღლება თუ როგორ მიმართონ ფინანსები თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მიგრაციის გააქტიურება და წინა ადგილზე გადმოსვლა გამოიწვიასაქართველოს ევროკავშირთან ახალმა ურთიერთობებმა, რასაც ასევე მოჰყვა სამთავრობო კომისიის ჩამოყალიბება. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს საქართველოს მხრიდან ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის არსებულ გამოწვევებთან გამკლავებას. სახელმწიფოში საქმიანობის გამარტივება და საინტერესო პირობების შექმნა ბიზნესისთვის, ყურადღებას იწვევს ასევე ემიგრანტების დაბრუნება სამშობლოში და მათი ჩართულობა პროცესებში.

ადამიანური რესურსების მიგრაციის თანამედროვე გამოწვევების დარეგულირების მიზნით მნიშვნელოვანი პროცესები მიმდინარეობს. ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობისათვის საქართველოს პრიორიტეტს წარმოადგენს ტურიზმის განვითარება.

ამის გამო მკვეთრადაა გაუმჯობესებული უცხოელთა შემოდინების და ქვეყანაში ყოფნის ბიუროკრატიული პროცესები. საქართველოს მიგრაციული პოლიტიკის ძირითადი მიზანია მიგრაციული პროცესების რეგულირების კანონმდებლობის შექმნა, რომლითაც მოხდება ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოება, რაც ხელს შეუწყობს მიგრაციის სასარგებლო, მოსახლეობის აღწარმოებასთან დაკავშირებული პროცესების მოხმარებას საქართველოს კეთილდრეობისთვის,ეს ყოველივე კი დაეხმარება რაც შეიძლება მეტი ოდენობის კანონით ნებადართული მიგრანტის არსებობას.

თუ მოხდება ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის დარეგულირება ეს კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს შემოსავლების ზრდისთვის, ვინაიდან ფინანსების ნაწილი შეავსებს ქვეყნის ბიუჯეტს, ემიგრანტების უმრავლესობას ექნებათ კანონიერი შრომის უფლება. შესაბამისად, ეს დადებით ასახვას ჰპოვებს როგორც იმპორტიორ, ისე ექსპორტიორ ქვეყნებზე.

აღსანიშნავია, რომ მ. გიორგობიანის აზრით „ხელშეკრულების დადება პრობლემას არ წყვეტს, საჭიროა რომ ასეთი ხელშეკრულებები რეალურად მოქმედებდნენ და დაცული იყოს „Pacta sund servandas" პრინციპი,'' [მ. გიორგობიანი,2009.გვ.11]. რაც გულისხმობს არსებული ხელშეკრულებისადმი ერთგულებას, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს შესრულებული. ამისათვის კი უნდა მოხდესშესაფერისი საკანონმდებლო სისტემის შექმნა და ამ პროცესებთან ურთიერთდაკავშირებული სამართლებრივი რეგულირებისა და კონტროლის უზრუნველყოფა.

დასკვნა

მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების ფონზე ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაცია უმნიშვნელოვანესი მოვლენაა.

ჩემს მიერ,მიგრაციის ძირითადი გამომწვევი მიზეზები, შეიძლება შეჯამებულ იქნასროგორც: ჯანდაცვის მიუწვდომლობა, განათლების დაბალკვალიფი-კაციურობა, უმუშევრობა, ეკონომიკური განვითარების დონე, სოციალური პირობების არასრულყოფილება. ადამიანები მიგრაციაში სხვადასხვა მიზნით მიდიან, მაგრამ მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი არის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მდგომარეობის გაუმჯობესება.

ასევე უნდა ავღნიშნოთ, რომ საერთაშორისო მიგრაციის დროს ადამიანები კვეთენ ქვეყნის საზღვრებს. ეს შეიძლება მოხდეს როგორც კანონიერად, ისე არალეგალურად. რაც უფრო დიდი რაოდენობა ადამიანური რესურსების გაედინება განვითარებული ქვეყნებისკენ, თანდათანობით ფართოვდება გეოგრაფიული არეალი, რაც თავის მხრივ აჩენს სხვადასხვა გამოწვევებს.

მიგრაციის ერთ-ერთი შედეგი არის ეთნიკური და რასობრივი მრავალფეროვნება საზოგადოების. მიგრაციული პროცესები შეიძლება წარიმართოს როგორც კანონიერად სახელმწიფოსა და სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ, ასევე არაკანონიერად. ემიგრანტები ირჩევენ ქვეყანას, სადაც მათი აზრით ექნებათ უკეთესი პირობები, შრომის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. მათთვის დამოუკიდებლად ძნელია სარწმუნო ინფორმაციის მოპოვება და უმეტესწილად დამოკიდებულნი არიან ისეთ ფირმებზე, რომლებიც არ არის დარეგისტრირებული ოფიციალურად. ისინი უზრუნველყოფენ როგორც მათი ქვეყნიდან გასვლის ორგანიზებას, დაგეგმვას, ისე მიმღებ ქვეყანაში დამკვიდრებას. ასევე იქმნება მიგრანტთა წრე, რომელშიც შედიან ნათესავები, მეგობრები, შემთხვევით გაცნობილი ემიგრანტები, რომლებიც ერთმანეთს უზიარებენ უკეთესი ქვეყნის შესახებ ინფორმაციას. ასეთ კავშირებს დიდი მნიშვნელობა აქვს მათთვის ვინც უკანონოდ ცხოვრობს.

მიგრაცია გავლენას ახდენს ქვეყნის დემოგრაფიაზე, ვინაიდან ქვეყნიდან ძირითადად ხდება ახალგაზრდა, შრომის უნარის მქონე პირების გასვლა. შესაბამისად იწყება ერის დაბერების პროცესები, რაც ეკონომიკის განვითარების შეფერხებას იწვევს. ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის დროს მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური მუშახელის გასვლა. ყველა ქვეყნისთვის აუცილებელია დიასპორის როლის წამოწევა და ქვეყნის განათლების განვითარებაში ჩართულობა.

ასევე ჩვენს ყურადღებას იმსახურებს სტუდენტთა მიგრაცია, რომელთა შერჩევა ხდება კონკურსების გზით. სტუდენტები ცდილობენ ემიგრაციის საშუალებით აიმაღლონ ცოდნა, ისე რომ მეტოქეობა გაუწიონ ადგილობრივ მოსახლეობას გახდნენ ნებისმიერ ქვეყანაში სასურველი სამუშაო კადრი. დღევანდელ რეალობაში მიგრაცია გახდა ოჯახური, რაც გამოიხატება იმაში რომ, უცხოეთში მყოფი ემიგრანტები ოჯახის წევრებს ეხმარებიან უცხო ქვეყანაში წასვლასა და დასაქმებაში.

აღსანიშნავია, მაღალი ინტელექტის და კვალიფიკაციის მქონე მიგრანტების როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ისინი უფრო ადვილად ერგებიან გარემოსა და შრომის ბაზარს. შესაბამისად ადგილობრივ მოსახლეობაში იწვევენ პროტესტსა და უკმაყოფილებას სამუშაო ადგილების შემცირების თვალსაზრისით. განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარე ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციაში დიდი როლი ეკისრება არაეკონომიკურ პროცებსა და მოვლენებს, მაგრამ ასეთი ქვეყნებიდანაც ხდება მაღალკვალიფიციური ინტელიგენციის გასვლა.

ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის ძირითადი გამომწვევი მიზეზი არის დიდი სხვაობა ფინანსურ ანაზღაურებას შორის, შესრულებული სამუშაოს შემდეგ. ეკონომიკურ განვითარებაში ემიგრაციის როლის ასახსნელად ყურადღება უნდა მივაქციოთ ასევე ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნებას, რომელიც არც თუ ისე ადვილია.

მსოფლიოში არსებული გაზრდილი ადამიანური რესურსების ემიგრაცია დიდი გამოწვევაა, ისეთი სახელმწიფოსთვის რომლებიც არ აღიარებენ გაზრდილ მიგრაციულ პროცესებს, ასეთი სახელმწიფოები რა თქმა უნდა ვერ მიიზიდავენ

შრომით ემიგრანტებს. ემიგრაციისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას თუ რამდენად შეუძლია ქვეყანას უზრუნველყოს მიგრანტის უსაფრთხოება, ეს კი დამოკიდებულია მიმღები ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ემიგრანტებისთვის სხვა ქვეყნის შრომა იქ არის გამოყენებადი უფრო მეტად, იმის გამო რომ მოსახლეობა არ თანხმდება ისეთი სამუშაოს შესრულებას, რომელიც არის შრომატევადი, ჯანმრთელობისთვის საზიანო და მცირე ანაზღაურებადი. ადამიანური რესურსების ნებაყოფლობით მიგრაციასთან ერთად მნიშვნელოვანია ლტოლვილების და ძალისმიერი გაადაადგილების მიგრაცია. შრომის ბაზრები თანდათანობით ხდება თავისუფალი. ხორციელდება ქვეყნებს შორის სამამულო ბაზრების კავშირების გაფართოება. ორგანიზაციები უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ მუშახელის მიზნობრივ დასაქმებას.

ზემოთ აღნიშნულიდან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შრომის საერთაშორისო ბაზარი სხვადასხვა გზით აკონტროლებს და აძლიერებს ურთიერთობებს სხვადასხვა ქვეყნის დამქირავებლებსა და მუშახელს შორი.

თავის მხრივ, ითვალისწინებს და ხელს უწყობს შრომითი პირობების, ხელფასების, სამუშაო დროის გაუმჯობესებას.

ნაშრომში განხილული საკითხებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მიგრაციაუარყოფითად მოქმედებს, რადგან ცვლის დემოგრაფიულ პროცესებს. ამდენად მიგრაციის უარყოფითი შედეგების შემცირების და დადებითის გასააქტიურებლად ყველა ქვეყნის მიზანია სიტუაციას მორგებული ალტერნატივის შემუშავება. ხდება ასევე მიგრაციის წესების დარღვევისთვის სანქციების განხორციელება. ეს ეხება არა მხოლოდ ემიგრანტებს, ასევე მათ ვინც ხელს უწყობდა დაეტოვებინათ მშობლიური ქვეყანა და ეშოვათ უკანონო სამუშაო.

მართალია ფირმებისთვის, ეს იქნება უკანონო თუ კანონიერი, დამსაქმებლისთვის ხელსაყრელია სხვა ქვეყნის ადამიანური რესურსების გამოყენება, მაგრამ სულ უფრო მეტად აქტუალურია ისეთი პროცესები, რომელიც ხელს შეუწყობს ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნებას. მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში აქტიური მუშაობა მიდის მომუშავეთა უფლებების, დაბინავების, სამედიცინო დახმარების თვალსაზრისით. ეს ქვეყნები ცდილობენ შეთანხმდნენ

ემიგრანტებისა და თვით სახელმწიფოს ინტერესების დაცვის შესახებ. მიგრაცია ძირითადად წარმოიქმნება ბუნებრივად არსებული გარმოებების გამო და აზიანებს არამიზანმიმართულად მასში ჩართულ მხარეებს.

ყოველივე არსებულიდანშესაძლებელია ვთქვათ რომ,ტექნოლოგიური და სატრანსპორტო პროგრესი განაპირობებს მიგრაციული პროცესების ცვლილებას: გადაადგილების გამარტივებამ, ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ განაპირობა მიგრაციული მოვლენების ზრდა. ამის გამო სახელმწიფო დგება გარდაუვალი აუცილებლობის წინაშე შეუსაბამოს სამუშაო ამოცანები არსებულ სიტუაციას. მსოფლიო მასშტაბით არსებობს მიგრაციული კრიზისი, რომელიც განპირობებული არის იმით, რომ მისი მართვა არ ხდება ეფექტიანად და ეს საკითხები არის გადასახედი, რომელიც საჭიროებს ახალი გეგმის შექმენას. იმისათვის რომ მიგრაციული პროცესები იყოს კოორდინირებული, მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის განვითარება. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ხდება ეკონომიკის განვითარებისთვის საჭირო მუშახელის მიღების რეგულირება.

ჩემს მიერ შესრულებული ნაშრომის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით ხელშეკრულების შედგენა და დადება ქვეყანას უადვილებს მიგრაციასთან დაკავშირებული გამოწვევების მოგვარებას, მოსახერხებელი ხდება დაიცვან ემიგრანტები არაკომპეტენტური, არაკეთილსინდისიერი კომპანიებისა და დასაქმებისგან. ამგვარად, ადამიანური მიგრაციის დროს, არსებული უარყოფითი მოვლენების მიუხედავად, ემიგრაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური სფეროების განვითარებისა და წარმატებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხა

1. ასათიანი რ. „საქართველოს ეკონომიკა ახალი ეპოქა“ ნაწილი I გამომცემლობა „სიახლე“. თბილისი. 2009 წ
2. გაჩეჩილაძე რ. „მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები'', თბილისი. 1997 წ, გვ. 13
3. გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება. გამოწვევები და შესაძლებლობები, გამომცემლობა „ უნივერსალი'', თბილისი. 2008 წ. გვ.157-170; გვ.180-187; გვ.201-326
4. გუგუშვილი ა. „მიგრაციის ეკონომიკური ასპექტები'', თბილისი. 2017 წ გვ.311
5. დავითაშვილი ზ. „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია''. 2003 წ. გვ. 245
6. ზუბიაშვილი თ. „თანამედროვე საერთაშორისო მიგრაცია“, თბილისი 1999 წ
7. ზურაბიშვილი თ. „თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევებში'', თბილისი, 2006 წ. გვ.6
8. თორია მ. „შრომითი რესურსების საერთაშორისო მიგრაციის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები'', თბილისი. 2008 წ. გვ.154
9. კალანდაძე ნ. „ შრომითი მიგრაცია, შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებები და საერთაშორისო სამართლებრივი მდგომარეობა“ გამომცემლობა“ უნივერსალი“, თბილისი.2010 წ
10. ლეგალური მიგრაციის შესახებ ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა. შედარებითი ანალზი. 2008 წ. გვ.28
11. მელაძე გ. „საქართველო და გლობალური დემოგრაფიული პროცესები'' გამომცემლობა „უნივერსალი'', 2013. გვ.165
12. მელაძე გ. ელიზბარაშვილი ნ. „ თბილისის დემოგრაფიული განვიტარება'' (წარსული, აწმყო, მომავალი).2016
13. მამულაძე გ. „ სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტებ'', თბილისი. 2010 წ. გვ.18-21
14. მიგრაციის სახელმღვანელოთა კრებული, 2017 წ. გვ.299-300

15. მიგრაციის ტერმინთა განმართებითი ლექსიკონი, გვ.36
16. მიგრაციის სტატისტიკა: სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი.2002 წ
17. საქართველოს მიგრაციის სტარტეგია (პროექტი), თბილისი. 20130-2015 წწ
18. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე დოკუმენტების N=673 „საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის კონცეფციის შესახებ'',1997 წ
19. საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტარტეგია მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, თბილისი.2015 წ
20. ტაბატაძე ლ. „ ბიზნესის კვლევის მეთოდები"
21. ყურაშვილი გ. „ სამუშაო ძალის არსი და სახელმწიფოებრივი რეგულირება'', თბილისი. 2013 წ. გვ.60-66
22. შრომითი მიგრაცია საქართველოდან და ორმხრივი შრომითი ხელშეკრულებები „პერსპექტივები და საჭიროებები", მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი. თბილისი.2009 წ
23. შელია მ. „ შრომითი ემიგრანტთა დემოგრაფიული სტრუქტურის ძირითადი მახასიათებლები'' თსუ. თბილისი.2003 წ. გვ. 60
24. შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ, მუხლი 2.1; მუხლი 2(2) (დ). 1990 წ
25. შრომითი მიგრაცია საქართველოდან, თბილისი. 2003 წ. გვ. 61
26. წულაძე გ. „ საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები 2015-2300'' 2013 წ. გვ.13
27. წულაძე გ. „საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული'' თბილისი. 2002 წ. გვ. 153
28. ჭიპაშვილი მ. „ შრომითი მიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები საქართველოში" მიგრაციის კვლევის ცენტრი, მიგრაციული პროცესები თანამედროვე გლობალიზებად მსოფლიოში. თბილისი. 2005 წ. გვ. 34-35
29. ჭელიძე ნ. „საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაცია''. თბილისი. 2000 წ

30. ჭელიძე ნ. „მიგრაციული პრცესები პოსტსაბჭოთა საქართველოში'' საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაციის ფაქტორები და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. თსუ. თბილისი. 2006 წ. გვ. 72
31. Blume K. verner M. " Welfare dependency among Danish Imigrations. 2007. P 453-471
32. Coleman D. "The Demographic Effects of International Migration in Europe". Oxford. 2008. P 453-477
33. Christopher P. Ball, Lopez C. Reyes J. " Remittances inflation and exchange Rate regimes in small open Economics" 2013. P 487-507
34. Glossary on migration, International organization for migration 2004. P 62
35. Mansoor A. Quillin B " Migration and Remittances" 2006. P 33
36. Meladze G. LOladze N. " Population Changes and characteristics of Demographic Processes in Tbilisi. 2017
37. Migration and Return in Georgia. CRRC. P 7
38. TukaSvili M. "Socio-economic problems of resurn migration in Georgia'' "universal". Tbilisi. 2012
39. Taso foundation & Women's fund a memory research center "Migration Processes in the South Caucasus" 2008-2009. P-32
40. Rajasekar S. Philominathan P " Research methodology"
41. Scholte J.A. "Defining Globalization''.University of Warwick. 2007
42. Воробьевой О. Д " Миграция население" ВыпускII. М. 2001. срд -4
43. Глушенко Г.И, „международных трудовых мигрантов".2005г,გვ. 207-208
44. Таран П. "Глобализация и трудовая миграция: необходимость политики основанной на правахчеловека". ВыпускN.1(5). 2010.
45. Ионцев В.А. "Международная миграция населения теория и история изучения". МГУ. 1999. С 106
46. Овчинников Г. П. " Международная экономика" 1998 г. С-258
47. Особенности миграционных процессов из Грузии в Грецию. Тбилиси. 2010 Г
48. Сови А. " Общая теория население" 1979г. с-409

49. Скелдон Р. "Миграция и бедность" ред: Ионцев В. А . 2006г. стр-95-97
50. Орешкин В. „Россия и международная миграция трудовых ресурсов”. 2004.С-75-77
51. Тухашвили М. "Влияние трудовой миграции на демо экономическое развитие Грузии в постсоветском периоде" 2012 срд -1-2
52. Мировая глобализация и взаимодейс твие современных государств. Россия. International chamber of commerce. 2016
53. http://forbes.ge/blog/104/migracia---qveynis-ganviTarebis-mastimulirebeli-Tu-Semaferxebeli-faqtori%3F (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა: 07.06,2019)
54. https://commersant.ge/ge/post/saqartvelodan-migracia-postsabchota-qveynebs-shoris-erterti-yvelaze-magalia (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა: 16.06,2019)
55. http://migration.commission.ge/files/migraciis_profili_2017_a4_new_1.pdf (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა: 15.04.2019)
56. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia(უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა: 1.06.2019)
57. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304 (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა: 19.06.2019)
58. https://cyberleninka.ru/article/v/sovremennye-problemy-mezhdunarodnoy-migratsii-rabochey-sily (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა: 02.06.2019)
59. http://migration.commission.ge/index.php?article_id=161&clang=1:(უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა: 07.06.2019)
60. https://www.ictsd.org/bridges (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა: 16.05.2019)
61. https://www.ncbi.nlm.nih.gov/books/NBK379428/ (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა: 19.06.2019)